სსიპ გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

მ ე რ ი  გ ი უ ნ ა შ ვ ი ლ ი

# ნიშნობის ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების თავისებურებანი

[redacted] სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია
სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის
ფაკულტეტზე სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ხელმძღვანელი: ლია ჭიღლაშვილი
სამართლის დოქტორი, პროფესორი

გორი
2019

# ანოტაცია


წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი ეხება საოჯახო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს, ნიშნობას. ნაშრომში განხილულია ნიშნობის ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების ძირითადი ასპექტები უძველესი დროიდან დღემდე, ნიშნობის სამართლებრივი ბუნება, ნიშნობა, როგორც წინა საქორწინო ხელშეკრულების დათქმა, მზითვის ინსტიტუტის აქტუალურობა და ყველა ის ძირითადი საკითხები რაც ნიშნობასა და ქორწინებას უკავშირდება.

ჩვენს მიერ შერჩეულ თემას საუკუნოვანი ისტორია აქვს. ნიშნობა ოჯახის შექმნის წინაპირობაა, თავისი შინაარსით იგი სწორედ ქორწინებას უკავშირდება, თუმცა აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ ოჯახის ფენომენს ბოლო დროს მართლაც შეექმნა საფრთხე. საგრძნობლად იმატა ტრადიციული ოჯახების ნგრევამ. პრობლება გლობალურია და მას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

ისტორიული წყაროების თანახმად ხალხურ სიბრძნეს, შემთხვევით არ შეუქმნია ისეთი ჩვეულება, როგორიც ნიშნობაა. როგორც ცნობილია ამ ტრადიციას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მომავალი მეუღლეებისა და მათი ახლობლების შემდგომი ბედნიერებისათვის.

დანიშვნის შემდეგ როგორც წყვილი, ისე მათი ოჯახები უკეთ ეცნობოდნენ ერთმანეთს, აფასებდნენ თავიანთი გადაწყვეტილების მიზანშეწონილობასა და სერიოზულობას. ნიშნობა ხელს უწყობდა დაუფიქრებელი და ნაჩქარევი ქორწინების თავიდან აცილებას, რაც გარკვეულწილად ამცირებდა განქორწინების რიცხვს. ქართული სამართალის ისტორიაში ვეცნობით ქალის დანიშვნის სხვადასხვა ტრადიციას, მათ შორის არის დაბადებამდე დანიშვნა, აკვანში დანიშვნა, ხელის დაკვრით დანიშვნა და სხვა.

ნიშნობის თითოეული სახე საზოგადოების განვითარების სხვადასხვა საფეხურის ანაბეჭდია. ამ კუთხით ევოლუციური ხაზი თითქმის ყველა მომენტში შეინიშნება. ნიშნობის ინსტიტუტმა თავისი განვითარების ეტაპებზე ისტორიული ცვლილებები განიცადა, სახელმწიფო და საზოგადოება ყოველთვის ცდილობდა მის სრულყოფას და დროსთან მორგებას. ჩვენი სურვილია შევისწალოთ ქართველი ხალხის უძველესი

საოჯახო ტრადიციების დადებითი და უარყოფითი მხარეები სამართლებრივი კუთხით. ასევე პარალელი გავავლოთ მსოფლიოს სხვა ხალხთა უძველეს ნიშნობის ინსტიტუტებზე. კვლევის პროცესში ჩვენ გამოვიყენეთ თეორიული ხასიათის მასალა იმ მეცნიერებისა, რომელთა ნაშრომებმაც გაამდიდრეს ქართული სამართლებრივი აზროვნება, ასევე ვიხელმძღვანელეთ სხვა ქვეყნების ისტორიული წყაროებიც.

M. Giunashvili

**Peculiarities of origin and development of the Institute of engagement**

# Annotation

The master's thesis concerns one of the important institutions of the family law – engagement. The work discusses the main aspects of the origins and development of the engagement institution from ancient times till today. The thesis includes such topics as the legal character of engagement, engagement as a pre-marriage contract, the actuality of the dowry institution, and all the main issues connected to engagement and marriage.

The topic we have chosen has a centuries' history. Engagement is a prerequisite of creating a family, it is connected to marriage itself, though we have to mention that, recently, the phenomenon of family is in danger. Destruction of traditional families has become more frequent. The problem is global and it must be paid much more attention to.

According to historical sources, the public wisdom has created the custom of engagement not by accident. It is known that this tradition was of a great importance in upcoming happiness of the future spouses and their close people. After the engagement, the couple, as well as their families got much more acquainted to each other, evaluated if their decision was advisable and feasible. Engagement promoted to avoid a hasty marriage, and it decreased the number of divorces. In the history of the Georgian law we meet different traditions of engagement: they engaged the woman before birth, or when she was still in cradle, etc. Each form of engagement is the reflection of society development steps. Therefore, we can easily see the evolutionary line of the society.

The engagement institution, during its development, has passed through many historical changes, as government and society have always been trying to make it perfect and fit to the times. Our goal is to study the advantages and disadvantages of the ancient family traditions of the Georgian people from the point of view of law. We will also try to compare it to the engagement institution of other countries. In the process of the research, we used theoretical works of the scientists, whose studies have enriched the Georgian legal thinking. We were guided by other countries' historical sources as well.

# ს ა რ ჩ ე ვ ი


შესავალი.....6

**თავი I. ტრადიციული ნიშნობის წესჩვეულებები ქართულ სამართალში**.....9

1.1. საცოლის შემოწმება- გაჩხრეკვის ტრადიცია.....9

1.2 ქალის დანიშვნა დაბადებამდე.....16

1.3 აკვანში დანიშვნის წესი საქართველოში.....19

1.4. ხელის დაკვრით დანიშვნა ქართული ჩვეულების თანახმად.....23

**თავი II ნიშნობა, ქორწინება და ჯვრისწერა ძველ ქართულ სამართალში.....**26

2.1ნიშნობის მომწესრილებელი სამ. ნორმები ძველ ქართულ სამართალში.....26

2.2 საქორწილო ტრადიციები საქართველოში.....30

2.3. ქორწინების სამართლებრივი ასპექტი.....33

2.4 ჯვრისწერა, როგორც სამართლებრივი ფაქტი.....39

**თავი III. მზითევი და ქალის მემკვიდრეთ ყოფნის საკითხი.....**42

3.1 მზითვის ტრადიცია ქართულ სამართალში.....42

3.2 ნიშნობის ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე.....47

**თავი IV ნიშნობის თანამედროვე ყოფა.....**51

4.1 ნიშნობის სამართლებრივი რეგულაცია .....51

დასკვნა.....53

გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა..... 57

# შესავალი

ნიშნობის ინსტიტუტს მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ქრისტიანობის წარმოშობიდან ქორწინების მთავარ წინაპირობად სწორედ ნიშნობა ითვლებოდა. იგი ქართული ტრადიციების ერთ-ერთი ძველთაძველი გამოვლინებაა და ნიშნობის რიტუალს დღესაც აქტიურად მიმართავს დასაქორწინებელი წყვილი.

ნიშნობის ინსტიტუტი არამარტო საქართველოში იყო პოპულარული, არამედ მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში საკანონმდებლო წესით რეგულირდებოდა. საქართველოში, ნიშნობა სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა და სადავო საკითხების რეგულირება ხდებოდა მაშინ, როცა ნიშნობით გათვალისწინებული პირობები დაირღვეოდა ქალის ან ვაჟის მხრიდან.

ნიშნობის ინსტიტუტის თავისებურებების შესახებ ეთნოგრაფიული მასალებიდან ირკვევა, რომ ნიშნობა, გარკვეული წინასწარი შეთანხმება იყო დასაქორწინებელ მხარეთა შორის, რომელიც უმეტესწილად მშობლების სურვილით იმართებოდა, ისე რომ დასაქორწინებელ პირებს შეიძლება არც სცოდნოდათ ამის შესახებ. როგორც ირკვევა, ადრეული ქორწინების არსებობა მხარეთა ურთიერთდანათესავების სურვილსა და სამოყვრო მისწრაფებებს უკავშირდებოდა, რაც ცხოვრების უკეთ მოწყობის საშუალებასაც გულისხმობდა.[1]

დღევანდელ სამოქალაქო კოდექსში კი ნიშნობის ცნება, მხოლოდ ერთი მუხლით არის განმარტებული,[2] ნიშნობა წარმოადგენს მომავალ მეუღლეთა ნების გამოვლენას, რის მიხედვითაც ისინი აცხადებენ, რომ მომავალში დაქორწინდებიან. ნიშნობას არ გააჩნია სავალდებულო ძალა, რაც იმას ნიშნავს, რომ დანიშნულ პირებს თავისუფლად შეუძლიათ უარი თქვან დაქორწინებაზე და ნიშნობის ფაქტიდან გამომდინარე მეორე პირი ვერ მოითხოვს სასამართლოში იძულებით ქორწინების ვალდებულებას.

---

[1] ჭყონია ი., ქორწინები ინსტიტუტი მთიულეთში, საქ. სსრ მეცნიერებათა გამომცემლობა, თბილისი 1955წ. გვ 32-35

[2] იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლი.

**ჩვენ მიერ შერჩეული თემის აქტუალობას** - განაპირობებს საზოგადოების ის ინტერესი, რომელიც არსებობს ნიშნობის ინსტიტუტისადმი, იგი პირდაპირ კავშირშია საოჯახო ურთიერთობასთან და არ არსებობს მის გარეშე. ეჭვგარეშეა, რომ ქართველი ხალხისთვის ოჯახის შექმნისას მნიშვნელოვანია კულტურული ფასეულობები, რომელთა ზემოქმედებითაც ყალიბდება ესა თუ ის პიროვნება. ახალგაზრდების ცნობიერებაზე დიდ გავლენას ახდენს თანამედროვე ტენდენციები და გარკვეული მათგანი უარს ამბობს ტრადიციული ოჯახის შექმნაზე, უპირატესობას ანიჭებს არარეგისტრირებულ კავშირს, თავს არიდებს ოჯახურ ურთიერთობაში პასუხისმგებლობებს. ჩვენ მიერ შერჩეული თემით შევეცადეთ წარმოგვეჩინა ნიშნობის ინსტიტუტის როლს, ოჯახურ ურთიერთობებში, რადგან ნიშნობის შემდეგ წყვილს საშუალება აქვს უკეთ გაიცნონ ერთმანეთი, აღმოაჩინონ საერთო ფასეულობები, რაც მტკიცე და ურყევი ქორწინების წინაპირობაა.

**კვლევის მიზანია**, - შევისწავლოთ ქართველი ხალხის უძველესი საოჯახო ტრადიციები, კერძოდ ნიშნობის სამართლებრივი ბუნება, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ასევე შევეცდებით მიმოვიხილოთ ნიშნობის ინსტიტუტის ისტორიული განვითარების ეტაპები უძველესი პერიოდიდან დღემდე. აღმოვაჩინოთ ის განსხვავებები, რომელიც თან სდევს ეპოქათა ცვლას.

**კვლევის მეთოდებიდან** - გამოვიყენეთ ისტორიული მაგალითების ანალიზი. ნაშრომში თავმოყრილია ის მასალები, რომლებიც მოძიებულია ქართულ და უცხოურ საოჯახო სამართლის ძეგლებში, წერილობით და ეთნოგრაფიულ წყაროებში. ამ თვალსაზრისით ვფიქრობთ, აღნიშნული ნაშრომი დაინტერესებულ პირებს გარკვეულწილად გაუადვილებს ნიშნობის ინსტიტუტთან დაკავშირებული საკითხების დომინანტურ ტენდენციებში ორიენტაციას.

ნაშრომში დასმულ საკითხებს მეთოდოლოგიურ საფუძვლად უდევს კვლევის ისტორიულ-შედარებითი და სამართლებრივი ანალიზის მეთოდი, რაც საშუალებას მოგვცემს შევადაროთ საქართველოსა და მსოფლიოს სხვა ხალხთა საოჯახო ტრადიციების წარმოშობისა და განვითარების სამართლებრივი ასპექტები.

**ნაშრომის მოკლე მიმოხილვა** - პირველ თავში შესწავლილია ტრადიციული ნიშნობის წესჩვეულებები ქართულ სამართალში, ქვეთავებში კი განხილულია ნიშნობის

სხვადასხვა ჩვეულებები: საცოლის შემოწმება-გაჩხრეკვა, აკვანში დანიშვნის წესი საქართველოში, ქალის დანიშვნა დაბადებამდე და ხელის დაკვრით დანიშვნა.

მეორე თავში მიმოხილულია ნიშნობა, ქორწინება და ჯვრისწერა ძველ ქართულ სამართალში. ქვეთავებში კი განვიხილეთ, ნიშნობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმები, საქორწილო ტრადიციები საქართველოში, ქორწინების სამართლებრივი ასპექტი  და ჯვრისწერა, როგორც სამართლებრივი ფაქტი.

მესამე თავი ეხება მზითვისა და ქალის მემკვიდრეთ ყოფნის საკითხებს. ქვეთავებში კი განხილულია მზითვის ტრადიცია ქართულ სამართალში და ნიშნობის ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე.

მეოთხე თავში მიმოხილულია ნიშნობის თანამედროვე ყოფა.  ქვეთავებში განვიხილეთ ნიშნობის სამართლებრივი რეგულაცია და სასამართლო პრაქტიკა ნიშნობასთან დაკავშირებულ  სასამართლო დავებზე.

**სამაგისტრო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა** - ნაშრომი შედგება შესავალი ნაწილის, ოთხი თავის,  თორმეტი ქვეთავის, დასკვნისა და გამოყენებული ლიტერატურის ნუსხისაგან. ნაშრომის მოცულობა შეადგენს  61 გვერდს.

# თავი I

## ტრადიციული ნიშნობის წესჩვეულებები ქართულ სამართალში

### 1.1 საცოლის შემოწმება- გაჩხრეკვის ტრადიცია

საქართველოში ნიშნობის ინსტიტუტი შორეულ წარსულიდან არსებობდა, იგი ქრისტიანობის წარმოშობიდან გახდა ქორწინებისათვის მთავარი წინაპირობა. რამაც არსებითად შეცვალა ქალის უუფლებო მდგომარეობა, რადგან წარმართობის პერიოდში ქალს არ ქონდა ქორწინებაზე სურვილის გამოხატვის საშუალება. „ნიშნობის დაწესებით ეს მდგომარეობა მშვიდობიანი გარიგების სახით შეიცვალა, ქალი აღარ წარმოადგენდა ნივთს, მამის ან ქმრის ხელისუფლებაში მყოფ უუფლებო არსებას.[3]

თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ძველ პერიოდში არ ხდებოდა ნიშნობაზე გარკვეული სახით დასაქორწინებელ პირთა ნების საწინააღმდეგო ქმედებები, მაგრამ დრომ თანდათან შეცვალა ის უარყოფითი მხარე ნიშნობის და საბოლოოდ დღევანდელ საქართველოს სამოქალაქო კოდექსში სრულყოფილი და მისაღები ნორმის სახით ჩამოყალიბდა.

ნიშნობა არა მარტო საქართველოს ცალკეულ რეგიონებში, არამედ მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იყო დამახასიათებელი. ნიშნობა ანუ დაწინდვა საქორწინო-საოჯახო სამართლის უძველესი ინსტიტუტია, რომელიც მნიშვნელოვან ზეპირ ანუ ვერბალურ გარიგებად ითვლებოდა. რომის სამართლის მიხედვით იუსტინიანეს დიგესტების 23-ე წიგნის პირველი ტიტულის მე-2 მუხლში რომაელი იურისტი ულპიანე ,,აკეთებს განმარტებას თუ საიდან მოდის ეს ტერმინი, ''ნიშნობა'', ლათინურად -,,SPONSALIA''და დაპირებას ნიშნავს, ვინაიდან ძველებს თავიანთი მომავალი ცოლების სტიპულირების (დაპირების) ჩვეულება ჰქონდათ".[4]

---

[3] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2015წ. გვ. 63-65

[4] შოშიაშვილი ლ,. ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2003წ. გვ 7-8

,,ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის'' თანახმად, ნიშნობა არის ვაჟის მიერ ქალის საცოლეთ დანიშვნა, ქორწილი კი ლხინია ქორწინების აღსანიშნავად. თვით ქორწინება ნიშნავს ქალ-ვაჟის შეუღლებას კანონიერი გაფორმებით".[5]

ეთნოგრაფიული მასალების თანახმად, არსებობს ნიშნობის კიდევ ერთი გავრცელებული სინონიმი "დაწინდვა". დაწინდვა/წინდი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში განმარტებულია მხოლოდ ერთი მნიშვნელობით, როგორც, „ვალისათვის მძევალი ".[6]

თვითონ ტერმინი ნიშანი სპარსული წარმოშობისაა, ამ ტერმინს ქორწინებასთან დაკავშირებული მნიშვნელობა მე-13 საუკუნეში მიუღია. „ნიშანი " იყო გარკვეული სახის საჩუქარი (ძირითადად სამკაული), რომელსაც საქმრო მიართმევდა საცოლეს და საქორწინო ურთიერთობების სიმბოლოდ მოიაზრებოდა.

ქართველ მთიელთა ყოფაში ნიშნობას დათავისებას ეძახდნენ, ქართლში კი ბელგა ერქვა. თავისთავად საინტერესოა ის ფაქტი, რომ თანამედროვე ვითარებაშიც საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილში დღესაც (ქართლში, კახეთში...) შენარჩუნებულია ,,ბელგა''. ,,რომელიც გერმანული წარმომავლობის სიტყვაა (,,ბერეგ''-,,ცნობა'', ,,გამამართლებელი დოკუმენტი'', ,,ხელწერილი'') და აქედან უნდა იყოს შესული თურქულში.[7]

წინასაქორწინო ურთიერთობები ისეთი ურთიერთობებია, რომლებიც წინ უსწრებს ქორწინებას. ესენია: საცოლის შერჩევა და ნიშნობა. თავად ნიშნობაც შეიძლება ორ ეტაპად დავყოთ, პირველი-ნიშნობამდენი ეტაპი, რაც გულისხმობდა საცოლის შერჩევას ანუ გაჩხრეკა, შეზვერვას და მეორე ეტაპი- ნიშნობა ანუ საქორწინო გარიგება, რომელსაც მოსდევდა ქორწილი.

ნიშნობა (დაწინდვა, დაბელგვა, დაბევება) ქორწინების სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენდა. „ქალის დანიშვნას „ნიშნის შებმა" ეწოდებოდა. ის ვისაც ნიშანს

[5] ფუტკარაძე ი., ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისის 2012 წ. გვ. 547
[6] სულხან-საბა, ორბელიანი: ლექსიკონი ქართული. ტ. II, გვ. 379
[7] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2009წ. გვ.79-80

მიუტანდნენ ანუ ნიშანს შეაბამდნენ, ნიშანშებმული ანუ დანიშნული იყო“.[8] ქალის ნიშნობისთვის ბეჭედს ან სხვა სამკაულს იყენებდნენ. ნიშნობის ბეჭედი თავისი წარმოშობით ქალის მოტაცებას უკავშირდება. არსებობს გადმოცემა, რომ ბეჭედი არის იმ ჯაჭვის ნარჩენი რგოლი, რომელიც გამოიყენებოდა პირველყოფილ საზოგადოებაში ქალის მოტაცებისა და დაბმისათვის. ბეჭედი ერთ-ერთი რგოლია იმ ჯაჭვისა, რომლითაც იყო დაბმული მოტაცებული ქალი, ამიტომაც საქორწინო ბეჭედს პირველად ატარებდა მხოლოდ ქალი, მამაკაცებმა მისი ტარება შედარებით გვიან დაიწყეს.[9]

ნიშნობისათვის მინიმალურ ასაკად უმეტესად დაწესებული იყო შვიდი წელი. დანიშნული თუ დაავადდებოდა სულით ავადმყოფობით, ნიშნობა არ უქმდებოდა თუ ავადმყოფობა დანიშვნის შემდეგ დადგებოდა.

ივანე ჯავახიშვილის ,,ძეგლის წერა'' გადმოგვცემს , რომ XII საუკუნის დამდეგიდან მცირეწლოვანთა დანიშვნის უფლება თვით რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას დაურთავს. მაგრამ ერთი განსხვავებით, ადრე თუ მცირეწლოვანთა ქორწინებაც, შეიძლებოდა რუის-ურბნისის კრებამ ადრეულ ასაკსი ქორწინება აკრძალა, რათა „ამიერთაგან არღარა ეკურთხეოდინ გვირგვინი ჩვილთა ქალყრმათა, არამედ, უკუთუ საჭიროდ რადმე იყოს, მშობელთა მათ დიად დაუწინდნენ იგი ურთიერთას და რაჟამს ჰასაკად მოვიდენ ორნივე, მაშინ იქორწინნენ და ქალი ათორმეტისა წლისასა უმცროსი ნუმცა შეყოფილ არსს ქორწინებით მეუღლისადა“.[10]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ნიშნობას წინ უსწრებს საცოლის შერჩევა ანუ გაჩხრეკა, შეზვერვა, რომელშიც ძირითადად მონაწილეობას ვაჟის მშობლები ღებულობდნენ. ივანე ჯავახიშვილი ასე განიხილავს „ძეგლის-წერაში“ აღწერილ ჩვეულებას: „ საცოლის მოძებნვა-შერთვევინებაში და ქალის გათხოვებაში უფრო ხშირად ქალ-ვაჟის მშობლები ირჯებოდნენ, საქმრო საცოლო ზოგჯერ მცირეწლოვანი იყვნენ ხოლმე და არაფერ შუაში იყვნენ ერთი სიტყვით იმ დროს ცოლის შერთვა და ქორწინება უკვე მშობლების მშვიდობიან მოლაპარაკებაზე იყო დამოკიდებული“. შემდგომში ვაჟის უფლებები თანდათან ფართოვდება და იგი უკვე მონაწილეობას

[8] მეტრეველი ვ,. ქართული სამართლის ისტორი, გამომცემლობა მერიდიანი თბილისი2016 წ. გვ 353
[9] Чурсин Г.. свадебние обычаи и обряды на Кавказе. **М.,** 1903. Ст. 36
[10] ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 366.

ღებულობდა ქალის გასინჯვაში მშობლებსა და სხვა პირებთან ერთად. ასეთ ვითარებაში ვაჟი აღარ არის გასინჯვის პასიური დამსწრე, მას ეკითხებიან მოსწონს თუ რა საცოლე,[11] და საბოლოოდ თვითონვე წყვეტდა ქორწინების საკითხს. ქალის გასინჯვისას ზოგჯერ ადგილი ჰქონდა ქალის უარს, ან კიდეც ქალის მშობლების მხრიდან ვაჟის ოჯახის დაწუნებას.

საცოლის „გაჩხრეკისას'' მნიშვნელობა ექცეოდა საცოლის ვიზუალობას, იგი იყო ქორწინების მთავარი ფაქტორი, საოჯახო საქმეებში მის ოსტატობას, ხასიათს, შრომით ჩვევებს სტუმრის მიღება, დახვედრას და გამასპინძლებას, რადგან პატრიარქალური ოჯახი დიდ შრომას მოითხოვდა, ამიტომ საპატარძლოს ენერგიულს და საქმიანს ირჩევდნენ.

საცოლის დათვალიერების შემდეგ ვაჟის მშობლები ცდილობდნენ კარგი შუაკაცი და მაჭანკალი გამოენახათ, საქმე ქორწინებამდე, რომ მისულიყო. საქართველოს ყველა კუთხეში არსებობდა შუამავლობა სხვადასხვა ფორმით, ,,ოჯახების მიერ შუამავლის არჩევა ხდებოდა მაშინაც, როცა ქალ-ვაჟის პირადი თვისებები, მშობელთა და წინაპართა ავკარგიანობა და ქონებრივი მდგომარეობა უკვე დადგენილი იყო. ასეთ შემთხვევაში (შუამავლის ძირითად მოვალეობას შეადგენდა მექორწინე ოჯახებს შორის არსებული ეკონომიკური ვალდებულებების (,,საქორწილოსა'' და მზითვის შესრულებაზე წინასწარი მოლაპარაკება და მხარეთა ინფორმირება).[12]

თავდაპირველად ამ საკითხზე შუაკაცი და მაჭანკალი უსასყიდლოდ მოქმედებდა, რაც მოგვიანებით სასყიდლით შეიცვალა რასაც გმობდა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 69-ე მუხლი: „თუ დედაკაცმან მეზობელს თუ მოყვასსა, თუ თავის სახლში უმაჭანკლოს და გამოჩნდეს, რისაც გვარისა იყოს ის მაჭანკალი თავის სისხლის ნახევარი იმ ქალის პატრონს მისცეს".[13] „თუ მაჭანკალი ამ თანხას არ გადაიხდიდა, მაშინ მას ყელზე საბელს მოაბამდნენ და ტიტველს სოფელს შემოატარებდნენ.

[11] შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, გამომცემლობა, „მერიდიანი ", თბილისი, 2003 წ. გვ.17

[12] საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, „ქართული ჩვეულებითი სამართალი", გამომცემლობა „მეცნიერება" თბ. 1990 გვ.62-65

[13] ქართული სამართლის ძეგლები, თბილისი 1963 წ. მუხლი 69-ე გვ. 499

აქედან ჩანს რომ კანონმდებლობა ებრძოდა მაჭანკლის სასყიდლიანობასა და მომხვეჭველობას“.[14]

მაჭანკალი იყო პიროვნება ,,რომლის ერთ-ერთ საქმიანობას შესაფერი წყვილის ძებნა-გამონახვა წარმოადგენდა. იგი ჯერ გამონახავდა შესაფერ წყვილს, შემდეგ შესთავაზებდა ქალის და ვაჟის ოჯახებს შუამავლობას, და გასამრჯელოსაც მოითხოვდა ამაში, (ეს განსაკუთრებულ მონდომებას მოითხოვდა თუ წყვილი ყოველმხრივ შესაფერი არ იყო) ამდენად მაჭანკალს თავისი პირადი ინტერესიც ჰქონდა-მეტი რაოდენობის სამაჭანკლო მიეღო. ამიტომ ხელობით მაჭანკალს ბოლომდე არც ენდობოდნენ და მიმართავდნენ ხოლმე „გასინჯვას'' -ქალის ოჯახის უფლებამოსილი პირი სტუმრად მიდიოდა ვაჟის ოჯახში და ყველაფერს საგულდაგულოდ ათვალიერებდა. მაგრამ, რადგან ქალი სამუდამოდ ხდებოდა ქმრის ოჯახის წევრი, განსაკუთრებული გულისყურით უფრო ქალს სინჯავდნენ.

ნიშნობა ტრადიციისამებრ, ქალის სახლში იმართებოდა. ნიშნობას ესწრებოდნენ ვაჟის მშობლები და ახლო ნათესავები, რომლებიც მიღებული წესის თანახმად, სუფრის მარჯვენა ნაწილში სხდებოდნენ. ხოლო სუფრის მოპირდაპირე მხარეს ქალის ახლობლები იკავებდნენ. ასევე მიღებული წესის მიხედვით, სასიძოს ოჯახის ერთ-ერთი წარმომადგენელი ფეხზე წამოდგებოდა და ხმამაღლა, სამგზის მიმართავდა სარძლოს მამას, (თუ მამა არ ჰყავდა ბიძას ან ძმას) იყო თუ არა თანახმა, ქალი მათი ვაჟისთვი „მიეცა“. ამის პასუხად, ოჯახის უფროსი ფეხზე წამოდგებოდა და განაცხადებდა: "დიახ, ნება გვაქვს და ვაძლევთ". ამ სიტყვების გაგონებაზე სასიძოს მშლებლები მადლობას თავისდაკვრით გადაუხდიდნენ და ამას სიტყვას თანხმობად მიიღებდნენ. თანხმობის მიღების შემდეგ, ქალისთვის ნიშანი უნდა მიერთმიათ.[15]

**მთიულეთში** ვაჟისთვის ქალის შერჩევის საქმეში დიდი როლს ასრულებდნენ მომავალი სასიძოს ოჯახში უკვე მოყვანილი რძლები, რომლებიც თავის საგვარეულოში აარჩევდნენ შესაფერის სარძლოს, და აცნობებდნენ ოჯახის უფროსს.

---

[14] მეტრეველი რ. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამომცემლობ ,, მერიდიანი''თბილისი 2003 წ. გვ.352

[15] ნაშრომი, ფანასკერტელ-ციციშვილი, დავით: ქცევანი და ჩვევანი საქართველოსანი. გვ.5 ინტერნეტ წყარი.

ამის შემდგომ იწყებოდა ქალის ვინაობის შესახებ ცნობების მოპოვება, ამ საქმეს „გაჩრეკა“ ეწოდებოდა. მთიულეთში „გაჩხრეხის” ერთ-ერთი მთავარი დანიშნულება ისიც იყო, გაერკვიათ დასაქორწინებელ პირთა შორის ნათესაური კავშირი ხომ არ არსებობდა? ნათესაური კავშირის შესახებ ყურადღების გამახვილება იმ შემთხვევაში ხდებოდა აუცილებელი, როცა გვარებსა და სოფლებს შორის დედით ნათესაობის ნაკვალევი იყო შემორჩენილი. მთიულთა წარმოდგენით, სისხლით ნათესავთა შეუღლება შთამომავლობას დააკნინებდა. ამ წესის დამრღვევისათვის მთიულურ სასამართლოში შემამსუბუქებელი გარემოება არ არსებობდა და დამნაშავე სიკვდილით ისჯებოდა.[16]

შეთანხმების შემდეგ ვაჟისა და ქალის ოჯახებს შორის იმართებოდა პირდაპირი მოლაპარაკება ნიშნობა-ქორწილობასთან დაკავშირებულ პრაქტიკულ საკითხებზე. ამას ორი-სამი კვირა მაინც სჭირდებოდა. ამ მოლაპარაკებას მოჰყვებოდა **„ლიშნობა“** ანუ როგორც თუშები ამბობდნენ - **„ლიშნის წაღება”.** „ლიშანი“ ქალისთვის ვაჟის ოჯახის მიერ მიტანილი საქორწილო საწინდარი იყო, რომელშიც ცოტაოდენი ფული, ტანსაცმელი და სამკაულები შედიოდა. სასმელ-საჭმელი ნიშნობისათვის ვაჟიანებს მიჰქონდათ. ნიშნობის ღამეს დათქვამდნენ ქორწილის დღეს, როგორც წესი, მარიამობის თვის მეორე ნახევარში, მარხვის გახსნის შემდეგ.[17]

**მთიულეთში** ნიშნობის ერთ-ერთი სახე იყო **„დიდი ნიშნობა“**. ქალისთვის პატარა ნიშნის მიტანის შემდეგ მექორწინე მხარეები დიდი ნიშნობისთვის მზადებას იწყებდნენ, „დიდი ნიშანი“ ნახევარი ქორწილი იყო, ამ დროს სასიძო პირველად მიდიოდა საცოლის ოჯახში.[18] დიდ ნიშნობაში თავს იყრიდნენ სასიძოსა და საცოლის ნათესავები, ვაჟის მხრიდან ქალის ოჯახში მიჰქონდათ სხვადასხვა საჩუქრები: „ოთხმოცი ლიტრი სასმისი არაყი, ქადა-პური,

[16] ჭყონია ი., ქორწინები ინსტიტუტი მთიულეთში, საქ. სსრ მეცნიერებათა გამომცემლობა, თბილისი 1955წ. გვ 32-35

[17] საქართველოს ძეგლები „ნიშნობა და ქორწინება თუშეთში“.http://www.dzeglebi.ge/statiebi/etnografia/nishnoba_qorcineba_tushetshi.html 2019წ, 10 მაისი.

[18] ჭიღლაშვილი ლ,. „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობით“.გვ-19

ერთი საკლავი და გამომცხვარი პური საგზლად, ამასთანავე პატარძლისთვის ფერადი საკაბეები, საყურეები, ბეჭედი სა სხვა.[19]

**სამეგრელოში** როდესაც შესაფერის ქალს შეიგულებდნენ, რასაც „თოლიში გედვალა“ (თვალის დადება) ერქვა, გაიკითხავდნენ მის ვინაობას და შეკრებდნენ ცნობებს ქალიშვილის პირადი თვისებების შრომისუნარიანობის, ასევე მისი ოჯახის თითოეული წევრის ნათესავების და წინაპრების შესახებ.

თუ მოპოვებული ცნობები დამაკმაყოფითებელი იქნებოდა ქალის ოჯახში აგზავნიდნენ ვინმე ახლობელ ნათესავს და შეატყობინებდნენ თავიანთ სურვილს. თუ ქალის მშობლები ვაჟსა და მის ოჯახს კარგად იცნობდნენ და დამოყვრებაზე თანახმანი იქნებოდნენ, მაშინ ვაჟის ოჯახს ქალის გასასინჯად მოიწვევდნენ, მაგრამ თუ საამისოდ ინფორმირებულნი არ იყვნენ, სტუმარს გადაწყვეტილ პასუხს არ ეტყოდნენ და ტრადიციული გამასპინძლების შემდგომ გაისტუმრებდნენ. ამ დღიდან ქალის ოჯახი, თავის მხრივ, დაიწყებდა ვაჟის ვინაობის გამორკვევას.

სამეგრელოში, ისევე როგორც **ქართლში**, “ვაჟი უნდა ყოლფილიყო მშრომელი, მარჯვე, კარგად მომლხენი; არ უნდა ყოფილიყო უქნარა, მატყუარა, უპირო. ვაჟის ყველა ამ პირადი თვისების გაგება მისი ნათესავებისა და მეზობლების დახმარებით ხდებოდა.[20]

საქართველოს ყველა კუთხეში საცოლის შემოწმება- გაჩხრეკვისას, ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ ქალის ოჯახიშვილობას ანუ ჩამომავლობას, დედის მორალურ მხარეს, ქალის საოჯახო საქმეებში დაოსტატებას, ფიზიკურ სილამაზეს, ოჯახის ერთგულებას, ყველა კუთხის წარმომადგენლები აქცევდნენ ყურადღებას, რადგანაც ოჯახის სიწმინდე იყო სწორედ ის განმსაზღვრელი ფაქტორი, რომელზედაც ოჯახის შემდგომი წინსვლა იყო დამოკიდებული.[21]

საქართველოში ნიშნობიდან ქორწინებამდე, ჩვეულებრივ ერთი წელი გადიოდა. თუმცა ეს პერიოდი შეიძლება უფრო გაგრძელებულიყო. ეს დამოკიდებული იყო

---

[19] ჭყონია ი. ქორწინები ინსტიტუტი მთიულეთში, საქ. სსრ მეცნიერებათა გამომცემლობა, თბილისი 1955წ. გვ 126

[20] ანთელავა ნ., ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში გვ. 72. ინტერნეტ წყარო

[21] ნანობაშვილი ბ., საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში, გამომცემლობა თბილისი, 1988 წ. გვ.41

ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე და დანიშნული წყვილის ასაკზე, ნიშნობიდან ქორწინებამდე პერიოდში, ჩვეულებრივ, ქალ-ვაჟს ერთმანეთის ნახვის უფლება არ ჰქონდათ. დანიშნული ქალი მორიდებულად უნდა მოქცეულიყო, სახლიდან იშვიათად უნდა გასულიყო. მიუღებელი იყო, ასევე მისი სტუმრობა სხვა სოფლებში, განსაკუთრებით კი, საქმროს სოფელში. ზოგიერთ კუთხეში ამ პერიოდს „საპატარძლოს ტყვეობის“ პერიოდსაც უწოდებდნენ. საინტერესოა, რომ ტრადიციის მიხედვით, ერთ-ერთი დანიშნულის გარდაცვალების შემთხვევაში, მეორე ისე იგლოვებდა როგორც ნამდვილი მეუღლე, თუმცა კი ერთმანეთი შეიძლება ნანახიც კი არ ჰყოლოდათ[22].

## 1.2 ქალის დანიშვნა დაბადებამდე

ნიშნობა (დაწინდვა, დაბელგვა, დაბევება) ქორწინების სავალდებულო წინაპირობას წარმოადგენდა. საქართველოში ისევე როგორც სხვა ქვეყნებში ქალის დანიშვნის სხვადასხვა წესი იყო გავრცელებული (აკვანში დანიშვნა, მცირეწლოვანთა დანიშვნა, გარიგებით დანიშვნა, ხელის დაკვრით დანიშვნა, დაბადებამდე დანიშვნა და სხვა).

**სამეგრელოში** ცნობილი იყო ბავშვების დედის მუცელშივე, დაბადებამდე, დაწინდვა, იგი ორ ოჯახს შორის დანათესავების წინაპირობას წარმოადგენდა და თანხლებული იყო მაგიური ქმედებით. როცა მხარეები შეთანხმდებოდნენ, ერთ-ერთი ორსული ქალი მეორეს ოჯახში ეწვეოდა. ფეხმძიმენი პირისპირ დადგებოდნენ და მუცლებს ერთმანეთს მიადებდნენ; ერთი მათგანი იტყოდა: „ბოშეფი რეთ და ჯიმალეფი“ (თუ ბიჭები ხართ, ძმები გახდით, მეორე დაამატებდა – „ძღაბი დო ბოში და ჩილდო ქომონჯი“ (თუ ქალ-ვაჟი ხართ, ხოლ-ქმარი იყავით). ამ წესს „ქვარაში მედვალას“ (მუცლის მიდებას) ან უბრალოდ „მექვარუას“ (პირდაპირ თარგმანში – „მიმუცლება“) უწოდებდნენ.

თუ ვაჟები გაჩნდებოდნენ, ბავშვებს ადრეულ ასაკშივე დააძმობილებდნენ და, ამდენად, საფუძველი ეყრებოდა ხელოვნურ ნათესაობას. თუ ქალ-ვაჟი

[22] მაჩაბელი ნ,. ქორწინების ინსტიტუტი ქართლში,. გამომცემლობა მეცნიერება,. თბ.1978 გვ. 40-41

დაიბადებოდა, ხელმეორედ დაწინდვის შემდგომ უნდა დაექორწინებინათ, ამ გზით შეუღლებულებს „მექვარიე ჩილ დო ქომონჯი“-ს (მუცლად შეუღლებულ ცოლ-ქმარს) უწოდებდნენ.[23]

ბავშვების წამოზრდის მთელი პერიოდის განმავლობაში ისინი ყოველნაირად ყურადღებიანი იყვნენ ერთმანეთის მიმართ, დღეობა-დღესასწაულებზე კი საჩუქრებსაც მიართმევდნენ ხოლმე. ეს განსაკუთრებულად ევალებოდა სასიძოს ოჯახს. ბავშვებს მომწიფების შემდეგ კი თავიდან ნიშნავდნენ-აწყობდნენ ჩვეულებრივ ნიშნობას.[24]

სამეგრელოში არცთუ იშვიათად სცოდნიათ მცირეწლოვანთა დაწინდვაც, რადგან გადაწყვეტილი არ იყო, თუ რა ხნის იქნებოდნენ ნიშნობის დროს სასიძო-საპატარძლო, სულ პატარებს, სამი-ოთხი წლისას დანიშნავდნენ ხოლმე, როცა ზოგჯერ მონათლულებიც არ იყვნენ.

ქალის დაბადებამდე დანიშვნის ჩვეულება **სვანეთშიც** არსებობდა „ყოფილა შემთხვევა, როდესაც ბავშვის პატრონები ბავშვის დაბადებამდეც კი შეთანხმებულან იმის შესახებ, რომ თუ ქალ–ვაჟი დაებადებოდათ, ისინი დაექორწინებინათ, თუ ორივე ვაჟი იქნებოდა – დაეძმობილებინათ“.[25]

სვანეთისთვის ასევე დამახასიათებელი იყო მცირეწლოვანთა ნიშნობა, ქვემო სვანეთში ნიშნობის ასაკი უფრო დაბალი იყო ვიდრე ზემო სვანეთში. ქვემო სვანეთში 5-წლის ბავშვებსაც კი ნიშნავდნენ, ხო ზემო სვანეთში 10-11 წლის ბავშვების დანიშვნა ძალიან ხშირი იყო. ნიშნობის შემდეგ მცირეწლოვანი საცოლე საქმროს თავის ოჯახში მიჰყავდა.[26]

მცირეწლოვანთა დაწინდვა არა მარტო გლეხობაში, არამედ ფეოდალთა და მეფეთა შორისაც კი ყოფილა წესად. ამ წესს დიდი ნაკლიც ჰქონდა: საქორწინო ასაკს რომ მიაღწევდნენ, გამოირკვეოდა, რომ ქალ – ვაჟი ერთმანეთის შეუფერებელი იყო და თუ

---

[23] „სამეგრელოს ტრადიციები და წეს-ჩვეულებები“. ინტერნეტწყარო http://saunje.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1598%3A-2&catid=1%3A2010-01-24-19-54-07&lang=ka&fbclid=IwAR1efR6AaujNKXumYruZ-G6LGC3X-XBKZm6kKEG-jOFSwkBvmFxC_7KTmqs

[24] ბექაია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბილისი., 1980, გვ.31-32

[25] ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა თბილისი, 1955 წ, გვ.65

[26] ხარაბაძე რ,. დიდ ოჯახის გადმონაშთი სვანეთში. თბ., 1939. გვ.84-85

გლეხობაში ვაჟს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა შეუფერებელი საცოლის შერთვაზე, ქალს ეს არ შეეძლო. აქედან მომდინარეობდა ე. წ. ძალის ცოლობა, რაც იმას ნიშნავდა, რომ დაწინდული ქალიშვილი თავისი სურვილის წინააღმდეგ ცოლად უნდა გაჰყოლოდა შეუფერებელ საქმროს ან, თუ გაათავისუფლებდნენ, სხვაზე გათხოვებას აუკრძა– ლავდნენ, აღუკვეთავდნენ (,,კვეთილში ჩასვამდნენ“) . ე. ი ,,კვეთილიანია... ის ქალი, რომელიც ქმარს დაიწუნებს და თავს დაანებებს ან დანიშნულს საქმროს არ ინდომებს. ამისთანა ქალს გათხოვება არ შეუძლიან, თუ გათხოვდა, მოჰკლავს შეურაცხყოფილი კაცი“.[27]

ი.ჭყონიას დაკვირვებით: „ბავშვობის ხანაში ნიშნობა-ქორწინება ძველი საქორწინო ურთიერთობის დაცვისათვის გაჩენილი წესი უნდა ყოფილიყო, როცა ფეხს იკიდებდა ახალი ვითარების შესატყვისი ნორმები და ჩნდებოდა საშიშროება ადრინდელი ქორწინების შესაძლებლობის ფარგლების უგულებელყოფისა. შემთხვევითობის თავიდან ასაცილებლად მექორწინე მხარეები აჩქარებდნენ ნიშნობას, რომელიც განსაზღვრულ ვალდებულებებს აკისრებდა. წინააღმდეგ შემთხვევაში უნიადაგო იქნებოდა ფაქტიურ ქორწინებამდე ნიშნობა.[28]

ი. ვინნიკოვი წერს, რომ არაბებში და „..,მრავალ სხვა ხალხში ცნობილი მცირეწლოვანთა დაწინდვის ჩვეულება – რომელიც  წარმოიშვება მაშინ, როცა საზოგადოებაში ქორწინების აუცილებელი ფორმა იყო კუზენური ქორწინება(ინგლისში  ტერმინი „კუზენი“ გამოიყენება და-ძმების აღსანიშნავად) და როცა მამაკაცს უკვე დაბადებიდან ჰქონდა უფლება განსაზღვრული კატეგორიის ქალებზე – ნათესაობის სხვადასხვა საფეხურის თავის კუზენზე დაქორწინება, მაშინ მშობლები, შედგომში შემთხვევითი შესაძლებლობის თავიდან, აცილების მიზნით, ცდილობდნენ თავიანთი შვილები დაენიშნათ ადრეულ ბავშვობაში. არაბები მოგვითხრობენ: ძველ დროში ჩვენში იყო ჩვეულება: ჩემ ძმას დაებადა ქალი, მე კი პატარა ვაჟი მყავს. მე მივდიოდი ძმასთან, მისი სახლის კარებთან ვგვიდი და ველაპარაკებოდი: ,,შენს ქალს ჩემი შვილისათვის ცოლად წავიყვან''. ძმა პასუხობდა ,,გაძლევო''. ეს ქალი იქნებოდა ჩემი შვილის სახელობაზე (nomika), როცა ქალი

[27] ივ.ჯავახიშვილი,. ქართველი ერის ისტორია, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბ.1965 გვ. 253-255

[28] ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა თბილისი, 1955 წ, გვ.63-64

გაიზრდებოდა მე მიმყავდა იგი და ვაძლევდი ჩემს ვაჟიშვილს. ასევე ვიქცეოდი როცა ჩემ დას გაუჩნდებოდა გოგო''. ,,მრავალ სხვა ხალხში ცნობილი ეს ჩვეულება წარმოიშვა მაშინ, როცა საზოგადოებაში ქორწინების აუცილებელი ფორმა იყო კუზენური ქორწინება და როცა მამაკაცს უკვე დაბადებიდან ჰქონდა უფლება განსაზღვრული კატეგორიის ქალებზე-ნათესაობის სხვადასხვა საფეხურის თავის კუზენზე. მშობლები, შემდგომში შემთხვევითი შესაძლებლობის თავიდან აცილების მიზნით, ცდილობდნენ თავიანთი შვილები დაენიშნათ უკვე ადრეულ ბავშვოვაში“ [29]

## 1.3 აკვანში დანიშვნის წესი საქართველოში

აკვანში დანიშვნის ჩვეულება წარმოადგენდა ნიშნობის საკმაოდ გავრცელებულ ფორმას, რომელიც განსაკუთრებით საქართველოს მთის მოსახლეობის ყოფით სინამდვილეს შემორჩა.[30] იგი არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ კავკასიის ხალხებში საყოველთაოდ დამკვიდრებული ტრადიცია ყოფილა. აღნიშნული ჩვეულება ცნობილი იყო საზოგადოების როგორც მაღალი, ასევე დაბალი ფენებისათვის, თანაც იმდენად გავრცელებული, რომ რუის–ურბნისის მსოფლიო კრებაზეც კი დღის წესრიგში მდგარა ამ ტრადიციის საკითხი. XII საუკუნეში რუის-ურბნისის საეკლესიო კრებამ ჩვილების აკვანში დანიშვნის ნება დართო, მაგრამ წინათ არა მარტო დაწინდვა, არამედ მცირეწლოვანთა დაქორწინებაც ჰქონიათ წესად, და ამიტომ რუის-ურბნისის საეკლესიო კრებას ამავე დროს ეს უკანასკნელი აკრძალა.[31]

აკვანში დანიშვნის წესს ძველად **მთიულებიც** მისდევდნენ, მაგრამ ყველაზე ნათლად ეს ჩვეულება ხევმა, ხევსურეთმა, მთის რაჭამ, სამეგრელომ და სვანეთმა შემოგვინახა.

აკვანში ნიშნობას **სამეგრელოში** „ონწეში აკოდგუმას“[32] (აკვნების მიდგმას)

[29] Виников И.Н., арабы в СССР, ,,Советская этнография",IV, 1940 გვ17-18

[30] ჭიღლაშვილი ლ,. „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობით“.გვ-16

[31] ჯავახიშვილი ივ. ქართული სამართლის ისტორი, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე გვ. 366

[32] კაკაბაძე ნ,. ლაზური ტექსტები,. გამომცემლობა არტანუჯი, თბ.2017 გვ. 87

უწოდებდნენ. გარდა აკვნების მიდგმისა, სცოდნიათ ასევე ჩვილთა ერთად დაწვენა, რასაც „შეწვენა ერქვა“.[33]

ბავშვების აკვანში დანიშვნას მაშინ მიმართავდნენ, როცა მშობლებს (განსაკუთრებით მამებს) თავიანთი შვილების ქორწინების გზით სურდათ დამოყვრება. ამის გარდა, თვლიდნენ რომ ეს იყო ზრუნვა ბავშვების მომავალზე, რადგან სრულწლოვანების ასაკში ქორწინება, რომელიც ძირითადად შუამავლითი ხასიათისა იყო, მაჭანკლის ყალბი ინფორმაციის შედეგად, შეიძლებოდა რომელიმე მხარისათვის არახელსაყრელი გამომდგარიყო. რამდენადაც ოჯახებმა უკეთ იცოდნენ ერთმანეთის ავ-კარგი და საქორწინო ურთიერთობის მოწესრიგება გარეშე პირის ჩაურევლად ხდებოდა, სააკვნე ჩვილთა ნიშნობა არცთუ იშვიათ შემთხვევაში უფრო ხელსაყრელად მიიჩნეოდა.[34]

დათქმულ დღეს ვაჟის მშობლები და რამდენიმე ნათესავი აკვანში ჩაკრულ ბავშვთან ერთად ეახლებოდნენ მომავალ ნათესავებს; მისალმების და მოკრძალებული მოკითხვის შემდეგ ვაჟის დედა ქალის აკვანზე რაიმე სამკაულს ჩამოკიდებდა. თუ ოჯახს შესაძლებლობა ჰქონდა, ნიშნად განკუთვნილ ყოველ ნივთს ქალის დედას გადასცემდა ან შეეძლო ქორწინებამდე უზრუნველეყო საპატარძლო სანიშნო სამკაულებით. ნიშნის გადაცემის შემდეგ ვაჟის მამა პირობის შემტკიცების მიზნით ქალის აკვანს ათლიდა, რასაც **„ონწეში გინოთოლუას“** (აკვნის გადათლას) უწოდებდნენ, ხოლო ამ წესით დანისშულ ქალს ხშირად „აკვან გადათლილის“ სახელით მოიხსენიებდნენ.

ამ დღის შემდეგ როცა რომელიმე ოჯახში სუფრა გაიშლებოდა ისე ლოცავდნენ როგორც როგორც ცოლ-ქმარს. ვიდრე პატარები გაიზრდებოდნენ და დაქორწინდებოდნენ, ოჯახები ვალდებულნი იყვნენ დღესასწაულზე სათანადო ძღვენით მოეკითხათ ერთმანეთი. როცა ორივე გაიზრდებოდა და ასაკში ჩადგებოდა, მაშინ მათ დააქორწინებდნენ. პირობის დარღვევა და უარის თქმა არ შეიძლებოდა, ეს ამ ორ ოჯახს შორის მტრობასა და შურისძიებას გამოიწვევდა.[35]

---

[33] ცაიშვილი მ,. მეგრელების ჩვეულებანი. „ქორწილი“. გამომცემლობა ივერია,. თბილისი, 1894. გვ 34-36
[34] მეფისაშვილი გ., ძველი და ახალი ტრადიციები,. გამომცემლობა მეცნიერება, თბ.1967. გვ33-34
[35] მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შრომები, თბ. 2017 გვ 214 ინტერნეტწყარო http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/242696

**მთიულები** ამ ჩვეულების შესახებ ,,ანდაზად'' შემორჩენილ ამბავს გადმოსცემენ: ,,პაპები დაგვითვლიდნენ - კე რო ბალღის მშობლები აკვანში მიუტანდნენ ნიშანსო ქალის მშობლებს". ამ წესის მიხედვით ვაჟის მშობლები აკვანსი მყოფ ვაჟს დანიშნავდნენ აკვანშივე მყოფ ქალზე და მათ გაზრდამდე ვაჟის მშობლები ასრულებდნენ იმ წესს რა წესებიც არსებობდა ხევსურეთში აკვანში დანიშვნის დროს. ნიშანს მშობლები, ბიძა ან რომელიმე ნათესავი მიართმევდა აკვანში მყოფ ბავშვს.[36]

აკვანსი ნიშნობის ტრადიცია **სვანეთშიც** არსებობდა, ნიშანი პრიმიტიული იყო, რომელიც გადმონაშთული სახით გამოიყენებიდა, ეს შეიძლება ყოფილიყო სახლის კარზე ჯოხის მიყუდება, ტყვია (ე.წ ფინთიხ-ი ანუ ფინდიხ-ი), რომელსაც ვაჟის პატრონი ან ჩუმად შეუგდებდა ქალის პატრონს ან სახლის კარზე თოფს გაისვროდა და დაიძახებდა დღეის შემდეგ ქალი ჩვენ მიერაა დაკავებულიო. მოგვიანებით ეს წესი მშობლების მშვიდობიანი გზით მოლაპარაკებით შეიცვალა.[37]

**ქიზიყში** ,,დაწინდვა'' აკვანზე ფაჩუჩის შებმით ხდებოდა, რაც ქალის ,,დათავისების'' პირველი ნიშანი იყო. აქ აკვანში დანიშვნის ფაქტი XIX საუკუნის დასასრულამდე ჩანს და იგი ოჯახის დაახლოების საშვალებას წარმოადგენდა.[38] ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით ვაჟის და ქალის მშობლები აკვანს კერის პირას გვერდიგვერდ დგამდნენ და რიგრიგობით არწევდნენ. ამ დროს იშლებოდა სუფრა სადაც მამაკაცები მომავალი ცოლ-ქმრის სადღეგრძელოს სვამდნენ.

ზოგიერთ ხალხში აკვანში დანიშვნამ იმდენად მოიკიდა ფეხი რომ კანონშიც კი ასახეს მისი წერილობითი გაფორმების ვალდებულება, ქორწინებას როგორც სავაჭრო საქონელს ისე უყურებდნენ. ,,ბრუნო მაისნერი შრომაში „Babylonien und Assyrien''(Bzl1924) გადმოსცემს ხამურაბის კანონის ერთი პარაგრაფის შინაარსს: როდესაც ორ ოჯახს თავიანთი შვილების დაქორწინებაც უნდა, ამისათვის ზოგჯერ ბავშვობის ასაკშივე ნიშნავდნენ და ამის შემდეგ (დანიშნულნი) თავისუფლად მათივე მშობლების ოჯახში რჩებოდნენ. შემდეგ იგივე ავტორი გვაუწყებს, რომ ეს

---

[36] ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა თბილისი, 1955 წ, გვ.58

[37] ხარაძე რ., დიდი ოჯახის გადმონაშტები სვანეთში, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილიალის გამომცემლობა, 1939წ, გვ. 85

[38] ნანობაშვილი ბ., საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში, გამომცემლობა თბილისი, 1988 წ. გვ.41

ურთიერთობა საზოგადოების განსაზღვრული წრისათვის ვაჭრობის საგნადაც ქცეულა და ასეთი დამოკიდებულების წერილობითი გაფორმებაც საჭირო გამხდარა.[39]

**რომაული სამართალი** კრძალავდა ადრეულ ასაკში ნიშნობასა და ქორწინებას დასანიშ პირთა ასაკის გამო, ,,ნიშნობის დაწესებასთან დაკავშირებით კონტრაჰენტების ასაკი განსაზღვრული არ არის, როგორც ეს არის ქორწინების შემთხვევაში, რის გამოც დანიშვნა ადრეულ ასაკშიც არის შესაძლებელი, ოღონდ თუ ორივე მხარეს ესმის ის,რასაც ისინი აკეთებენ , ე.ი შვიდ წლამდე ასაკისანი არ არიან[40].

**საქართველოში** ადრეულ ასაკში ქორწინება მსოფლიოს სხვა ხალხთა მსგავსად, მატრიარქატის პატრიარქატზე გამარჯვებით აიხსნება, ასევე მხარეთა დააახლოების და ურთიერთდანათესავებისა მისწრაფებით, რაც ცხოვრების უკეთ მოწყობის საშვალებასაც იძლეოდ. აღსანიშნავია რომ ძველად ქალიშვილების ნაადრევი გათხოვება უფრო მეტად ხელმოკლე ოჯახებისთვის ყოფილა დამახასიათებელი; რაც შეეხება ვაჟის მხარე მისთვის ეს სასურველი საპატარძლოს დასაკუთრებისთვის იყო გამიზნული. რაც ასე პატრიარქალური წყობილების დამყარების ნიშნად არის მიჩნეული [41]

[39] ჭყონია ი., ქორწინების ინსტიტუტი მთიულეთში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა თბილისი, 1955 წ, გვ. 62

[40] მეტრეველი ვ,. რომის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ.2013 გვ.102

[41] ნადარეიშვილი გ., ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, გამომცემლობა მეცნიერება 1965 წ. გვ.122

## 1.4. ხელის დაკვრით დანიშვნა ქართული ჩვეულების თანახმად

ასევე საინტერესოა ქალის დანიშვნის კიდევ ერთი ჩვეულება , რომელიც ძირითადად ხევსურეთში და აფხაზეთში გვხვდება და რომელსაც **„ხელის დაკვრით“** დანიშვნა ეწოდება. ასეთი წესით დანიშვნა შეიძლება მომხდარიყო თავშეყრის ადგილებში. ეს რიტუალი შემდეგში მდგომარეობდა. ქალს ვაჟის მამა, ბიძა ან სხვა მამრობითი სქესის ახლო ნათესავი მხარზე ხელს დაკრავდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ ქალი „ხელდაკრულია“, და მას სხვაგან გათხოვების უფლება აღარ ჰქონდა[42].

საცოლის დათავისების ერთ-ერთ ხერხს წარმოადგენდა ე.წ **„ქუდის სროლა”.** საკმარისი იყო ყმაწვილ კაცს ქუდი ესროლნა გასათხოვარი ქალისათვის და თუ მოახვედრებდა, ქალი დანიშნულად ითვლებოდა. „ქალის დანიშვნის მიზნით წინათ ვაჟის მამა ან ბიძა ქალს ცეკვის დროს ქუდს ესროდა და იგი მის დანიშნულად ითვლებოდა. თუ ქალის მშობლები ამაზე უარს იტყოდნენ, მაშინ მათ აჯარიმებდნენ და ეტყოდნენ: „ქუდი მოხვდა და არ მოგვყვებაო“. უარის შემდეგ შეეცდებოდნენ ამ ქალის მოტაცებას. ამისათვის საჭირო იყო ვაჟის მხრივ გულადობა და ვაჟკაცობა, რომ ეს განზრახვა შეესრულებინა, რაც ყველას არ შეეძლო. თუ არა და ასეთი ქალი ვერ გათხოვდებოდა, რადგანაც იგი დანიშნულად ითვლებოდა და იტყოდნენ „ქმარნაყოლიაო“. ყოფილა შემთხვევები, როდესაც ქუდნაკრავი ქალიშვილის ნათესავ-ახლობლები ხმალდახმალ მოჭრიან მსროლელს და სისხლიც კი დაღვრილა.[43]

ასევე არსებობდა **„ქალის ნივთებით დანიშვნის წესი“** . ოჯახში მოსული სტუმარი (მამაკაცი) ოჯახში ტოვებდა რაიმე ნივთს (სათუთუნეს, მათრახს, ფულს და ა.შ.), რაც იმის ნიშანი იყო, რომ სტუმარს ამ ოჯახში ქალიშვილი მოეწონა საცოლედ ან სარძლოდ. ამ დროს მასპინძელი არავითარ შემთხვევაში არ იფიქრებდა, რომ ეს

[42] ქორწინების სამართლებრივი საფუძვლები და მასთან დაკავშირებული პრობლემები. თბ.2002წ
[43] ისტორიულ ეთნოგრაფიული ძიება, წიგნი I გამომცემლობა cuna georgica თბ.200წ გვ.98-100

შემთხვევით მოხდა. ორი დღის შემდეგ, ქალიშვილის ოჯახს უგზავნიდნენ შუამავლებს. ასეთი წესით ქალის დანიშვნის შემდეგ ქორწილზე უარის თქმა დიდ შეურაცყოფად ითვლებოდა.[44]

საქართველოს ზოგიერთ ნაწილში ფართოდ იყო გავრცელებული ცოლის შერთვა **მოტაცების** გზით. ეს წესი მეტად პოპულარული იყო აფხაზეთში და სამეგრელოში. ქალის მოტაცების მიზეზები ქორწინებასთან დაკავშირებული მატერიალური დანახარჯების თავიდან აცილებაში უნდა ყოფილიყო. ხშირად მოტაცება ხდებოდა ახალგაზრდების შეთანხმებითაც, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ქალიშვილს საქმრო ჰყავდა და იწუნებდა. თუ გამტაცებლებს მდევარი გამოედევნებოდა, მაშინ ვაჟის ოჯახს მდევრისათვის სახლის კარებთან საკლავი უნდა დაეხვედრებინა შემოსარიგებლად. თუ ქალი წინააღმდეგი იყო, მაშინ მას სრული უფლება ჰქონდა უკან გაყოლოდა მდევარს. ამგვარად, მოტაცების შემთხვევაში ქალის აზრს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა.[45]

**სამეგრელოში** ქალის გატაცება იმ შემთხვევაში ხდებოდა თუ ვაჟს ქალი მოსწონდა, მაგრამ ქალის ოჯახი მას წუნობდა( რასაც საფუძვლად ედო ვაჟის ფიზიკური ნაკლი, მისი ოჯახის ეკონომიკური სისუსტე, წინაპართა ცუდსახელიანობა და სხვა)და ქალს არ აძლევდა.

ქალი მოტაცების კიდევ ერთი სახის მოტივი იყო ეკონომიკურად ძლიერ და სოციალური თვალსაზრისით შედარებით მაღლა მდგომ ოჯახთან დანათესავების სურვილი. როცა ასეთი ოჯახებიდან იტაცებდნენ დედისერთა ქალიშვილებს, შერიგების შემდეგ ზედსიძედ შედიოდნენ და გვარსაც კი იცვლიდნენ, რაც, როგორც ჩანს, გლეხთა დაბალი კატეგორიიდან მაღალ კატეგორიაში გადასვლის გარანტიას იძლეოდა.

ძალადობითი მოტაცება ხდებოდა ვაჟის მშობლების სურვილითაც, რათა თავი აერიდებიათ ხარჯებისათვის; და ბოლოს, საცოლის მოტაცება ვაჟკაცობადაც

---

[44] წერეთელი მ,. „გენდერული კულტურა და სოციალური კონსტრუქტი“. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ.2006 გვ. 96-97

[45] გენდერული პრობლემატიკა საქართველოში. „ქალი, ოჯახი, ტრადიცია და კანონი საქართველოში“ http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-0l--10-ka-50---20-preferences---10-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.5&d=HASH015a50d7a9e5d332d1510b97.17&gt=2

ითვლებოდა და უპირატესობაც კი ენიჭებოდა ქორწინების მშვიდობიან ფორმასთან შედარებით. ასე იყო არა მხოლოდ სამეგრელოში და საქართველოს სხვა კუთხეებში, არამედ კავკასიის ხალხებში.“[46]

**აჭარაში მოტაცებისას,** სრულიად შესაძლებელი იყო, რომ გოგოს დედას მოტაცების დეტალები ცოდნოდა და ბიჭის ოჯახი მასთან შეთანხმებული ყოფილიყო. ასევე, მოტაცება იმ შემთხვევაშიც ხდებოდა თუ ბიჭი ხელმოკლე ოჯახიდან იყო ან გოგოს მშობლებს არ მოსწონდათ სასიძო.

განსაკუთრებით საინტერესო ქორწინების ფორმა იყო აჭარაში „დაჯდომა“, რომელიც განსაკუთრებით უსვავს ხაზს ქალის გამბედაობას. თუ ქალს საქმროდ მოეწონებოდა კაცი, მაშინ იგი ბიჭის სახლში მივიდოდა და მასთან დაჯდებოდა. რა თქმა უნდა, მამაკაცს სრული უფლება ჰქონდა უარი ეთქვა მის ცოლად მოყვანაზე, თუმცა ეს ქალის რეპუტაციას საკმაოდ შელახავდა. ამიტომ ასეთ დროს საქმეში მაჭანკალი ერთვებოდა.

მაჭანკალს აჭარაში „ჯაზი ნენეს“ უწოდებდნენ. სწორედ მისი მეშვეობით გვარდებოდა ქალ-ვაჟს შორის ურთიერთობა.[47]

**გარიგებით** დანიშვნა მთელს საქართველოში ფართედ გავრცელებული წესი იყო. იგი დღემდე შემორჩა მოსახლეობის გარკვეულ ფენებში.

[46] ქართული ჩვეულებითი სამართალი ტ. III გამომცემლობა მეცნიერება, თბ.1991 გვ83-84
[47] ინტერნეტწყარო. ალექსანდრე მგელაძე,. აჭარის შესახე. http://www.biblioteka.litklubi.ge/view-nawarmoebi.php?id=3933

# თავი II

## ნიშნობა, ქორწინება და ჯვრისწერა ძველ ქართულ სამართალში

### 2.1 ნიშნობის მომწესრილებელი სამართლებრივი ნორმები ძველ ქართულ სამართალში

საქართველოში ნიშნობის ინსტიტუტმა დღევანდელობამდე რთული და საინტერესო სამართლებრივი გზა გაიარა, რასაც ადასტურებს უძველესი ეთნოგრაფიული მასალები, საკანონმდებლო ძეგლები და ადათობრივი სამართლის მაგალითები, რომელთა განხილვა ნათელს ჰფენს ამ ინსტიტუტის ისტორიულ წარსულს. საქართველოში ნიშნობის საკითხი რეგულირდებოდა როგორც საერო საკანონმდებლო ძეგლებით ისე ადათობრივი სამართლის ნორმებით.

პროფ. გ. ნადარეიშვილი აღნიშნავს, რომ „საქართველოში ქორწინებას წინ უძღოდა ნიშნობა, რომელიც საეკლესიო წესით სრულდებოდა და სხვა არა იყო რა, თუ არა მხარეების ან მათი მშობლების თანხმობა მომავალი ქორწინების შესახებ“.[48] მას ნიშნობა გათანაბრებული აქვს მხარეთს შორის თანხმობასთან და მიიჩნევს რომ ქრისტიანულ ეკლესიას უფრო მაღალი შეხედულება გააჩნდა ნიშნობის ხელშეკრულებაზე ვიდრე სხვა სამოქალაქო გარიგებზე.

ქრისტიანული საეკლესიო კანონმდებლობა ნიშნობას ქორწილს უთანაბრებდა, რადგან მას წაუყენეს მეტად დიდი მოთხოვნების დაცვა. მაგ. ერთ საცოლესთან დანიშნული პირი თუ სხვას შეირთავდა ეკლესიის თვალში ის ითვლებოდა ორცოლიანად, ერთ-ერთი დანიშნული პირის გარდაცვალების შემთხვევაში, ქვრივის სხვასთან ქორწინება მეორედ დაქორწინებას უთანაბრდებოდა.[49] ორივე შემთხვევას ადათობრივი სამართალი კიცხავდა.

---

[48] ნადარეიშვილი გ,. ძველი ქართული საოჯახო სამართალი, თბ., 1974, გვ. 21

[49] შოშიაშვილი ლ,. ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2003წ. გვ27

ეთნოგრაფიული ხასიათის და სხვა სახის მასალებიდან ირკვევა, რომ ნიშნობა საქართველოში სამოქალაქო გარიგების-ხელშეკრულების სახეს ატარებდა, მაგალითად სამეგრელოში ნიშნობის დროს საპატარძლოს ოჯახში მიდიოდა სასიძოს მამა ან დედა მათ პატარძლისთვის მიჰქონდათ ოქროს ბეჭედი და საყურე. ამ დღიდან ქალი ითვლებოდა დანიშნულად, პირობის დარღვევა რომელიმე მხრიდან დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა, რასაც შეიძლება ცუდი შედეგი მოჰყოლოდა".[50] აქედან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ნიშნობა სამოქალაქო გარიგებაზე მეტია, რადგან მას ცუდი შედეგი შეიძლება მოჰყვეს. ამავე მოვლენასთან გვაქვს საქმე სვანეთში, სადაც დანიშნული ქალის მიმტოვებელი დამნაშავედ მიიჩნეოდა და ქალის ნათესავების მხრიდან დაჭრა ან მოკვლა ემუქრებოდა როგორც დამნაშავეს.[51]

ნიშნობას როგორც სამართლებრივ აქტს აღიარებს მკვლევარი იურისტი დ. ჯალაბაძე მისი აზრით ქალისათვის მიტანილი ნიშანი ფულადი სახის ქონებაა, რომელიც საქორწინო შეთანხმების დასტურად მიაქვს სასიძოს მხარეს. აქედან გამომდინარე ნიშნობა სამართლებრივი აქტია, რომლის სამართლებრივი ბუნება შემდგომში მდგომარეობს: ნიშნობის აქტის ძალით, ვაჟი დანიშნულზე ქორწინების უფლებას მოიპოვებს, ხოლო დანიშნულის ოჯახი ვალდებულია უზრუნველყოს მისი ეს უფლება და თავი შეიკავოს ახალი საქორწინო გარიგებისგან, დანიშნულმა ქალმა კი სხვაზე გათხოვებისგან. აქდან გამომდინარე ნიშნობა შეიცავ ტიპიურ სამოქალაქო ხელშეკრულების ელემენტებს ამიტომ მას „ბე"- სთანაც აიგივებენ.[52]

ნიშნობის სამართლებრივი ბუნება თავს იჩენდა ასევე მისი ჩაშლის დროს, ანუ როცა ნიშნობით გათვალისწინებული პირობა დაირღვეოდა ქალის ან ვაჟის მხრიდან. პირობის დარღვევა დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა, დამნაშავეს ადათობრივი სასამართლოს მხრიდან გარკვეული გადასახადი უნდა გადაეხადა, ნიშნობის დარღვევისათვის ზოგჯერ სისხლის პასუხისმგებლობაც კი შეიძლება დამდგარიყო, მაგ. საქართველოში დანიშნული ქალის დაგდება სრული სისხლის გადახდით

[50] შოშიაშვილი ლ,. ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2003წ. გვ 28-29

[51] Р.Д. Еристол.Заметки о Сванетии. Овычное право Сванеии вообще и в одной-в особенности. З.К.О.Р.Г.Общество,, 1892-97 XIX в.стр.29

[52] ჯალაბაძე დ,. საქორწინო საოჯახო სამართალი, ქართულიჩვეულებითი სამართლის მეცნიერება. თბ.1993. გვ. 135-136

ისჯებოდა.”[53] რასაც ადასტურებს დავით ბატონიშვილის და ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 77-ე მუხლი. ერთერთ განჩინებიდან ირკვევა: შათირიშვილი უჩიოდა რამიშვილს: ,,თოფურიას ქალი მყავდა ცოლად, საქმე გადაწყვეტილი მქონდა და შენ მიდი და უთხარი თოფურიას, რომ შათირიშვილის ოჯახშიდ აზნაურის ქალი ვერ გაძლებს, სხვებსაც ბევრ რიგად უგინე ჩემი თავი და ჩემის მტერობით დამეშალა და ის ჩემი ნათხოვარი ქალი შენ შეირთე და ვითხოვ პასუხი მომცე”. ,,რამიშვილმა არ ცნო სარჩელი. სასამართლომ მას ფიცის დადება მოსთხოვა და დაადგინა, თუ ფიცით დაამტკიცებს, რომ მას ქალი არ წაურთმევია, პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, მაგრამ თუ ფიცით ქალის წართმევას ვერ დაამტკიცებს-მესამედი სისხლი უნდა გადაიხადოს.[54]

მაშასადამე ნიშნობა სამოქალაქო აქტი იყო, რომელიც მხარეებს ანიჭებდა უფლებებს და მოვალეობებს, მისი დარღვევა კი პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა. მაგალითად ნიშნობის მოშლისთვის ფშავში ქალის ოჯახს შეურაცხყოფილი და დაზარალებული ვაჟის ოჯახისთვის პასუხისმგებლოის სახით 16 ძროხა უნდა გაეღო. მოტაცების შემთხვევაში ამ ჯარიმას მომტაცებელს დააკისრებდნენ. სასიძოს მხრიდან ნიშნობის დარღვევაზე სამართლებრივი შედეგები კი არ მოიძებნება ,,მიზეზი კი, ალბათ ერთი მხრივ ვაჟის უფლებრივ უპირატესობებში უნდა ვეძიოთ, ხოლო მეორე მხრივ-იმ ქონების რისკსი, რაც შეიძლება თან ახლდეს ვაჟის მხრიდან საქორწინო ხელშეკრულების(იგივე ნიშნობის) შეუსრულებლობას, იმ აზრით, რომ ნიშნობისას მიტანილი საჩუქრები მას უკან აღარ დაუბრუნდეს.[55]

ნიშნობის დროს მიღწეული შეთანხმებით განისაზღვრებოდა ქალის მზითვისა და ვაჟის მიერ ქალისათვის მირთმეული ნიშნის სამართლებრივი მდგომარეობა. მაგალითად, თუ ქალი მოშლიდა ნიშნობას, უარის მთქმელს წინდი ანუ ნიშანი უკან უნდა დაებრუნებინა. ასეთივე ვალდებულება ჰქონდა ვაჟის მხარესაც -თუ ვაჟის

[53] ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამომცემლობა თბილისი 2005 წ. გვ.154

[54] შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, გამომცემლობა ,,მერიდიანი'' თბილისი, 2003 წ. გვ.55

[55] ჭყონია ი,. ქორწინები ინსტიტუტი მთიულეთში, საქ. სსრ მეცნიერებათა გამომცემლობა, თბილისი 1955წ. გვ 32-35

ინიციატივით ჩაიშლებოდა ნიშნობა, იგი უფლებას კარგავდა წინდათ მიტანილ ქონებაზე“.[56]

ნიშნობის დროს მიტანილი საჩუქრები რომ ნიშნობის ჩაშლის ან ქორწინების დასრულების შემდგომ მის პირველ მფლობელს (მამაკაცს) უბრუნდებოდა კარგად სჩანს ქართულ ტრადიციულ ყოფაში ერთ-ერთი ასეთი, იაკობ ცურტაველის "შუშანიკის წამებაშია" დამოწმებული. პურობის ცნობილი ინციდენტის მეორე დღეს, როდესაც ნაცემ-ნაგვემ შუშანიკს იაკობ ცურტაველი მოინახულებს, შუშანიკი სთხოვს ხუცესს გამოართვას სამკაული და დაუბრუნოს მის პატრონს-ვარსქენს, რამეთუ ის მას აღარ სჭირდებოდა. ამ მოქმედებით, დედოფალი თავიდან იხსნიდა იმ ცოლქმრულ ვალდებულებებს, რაც მას აკავშირებდა ქმარყოფილ ვარსქენთან. პარალელურად, იმავე მიზნით, ვარსქენი იაკობს იბარებს და უბრძანებს, გამოართვას შუშანიკს მის მიერ ნაჩუქარი სამკაული, რადგან ის მისი ცოლი აღარაა, "იპოოს ვინმე, რომელმან განკაფოს,,იგი“.[57]

ცნობიდან კარგად ჩანს ნიშნობის, როგორც კანონის იურიდიული ძალა, რომლის მიხედვით, ცოლ-ქმრის გაყრის შემთხვევაში, ქალის ნიშანი მის პირვანდელ მფლობელს უბრუნდებოდა.

ნიშნობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმებიდან ძველ ქართულ სამართალში აღსანიშნავია:

1. ვახტანგ მეექვსის სამართლის 77-ე და 223-ე მუხლები;

2. ბერძნული სამართლის ქართული ვერსიის 390 და 397-ე მუხლები;

3. ქართული ჩვეულებითი სამართლის კრებულის ,,საქართველოს ძველთაგან და ჩვეულებითად ქართველ მეფეთა დროთა შემოღებულნი სჯულნი’’, მე-15 და 52-ე მუხლები;

4. დ. ბატონიშვილის სამართლის 119-ე, 120-ე და 222-ე მუხლები;

5.სომხური სამართლის ქართული ქართული ვერსიის 57-ე და 58-ე მუხლები.[58]

---

[56] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2015წ. გვ.64-65

[57] ი.ცურტაველი, შუშანიკის წამება,. გამომცელობა ლითერასი,. თბ. 2014წ. გვ

[58] მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, გამომცემლობა მერიდიანი, თბ.2016წ., გვ 353-354

## 2.2 საქორწილო ტრადიციები საქართველოში

ქორწინებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს და უკავშირდება კაცობრიობის დაბადებას. იგი ოჯახის შექმნის უძველეს და ყველაზე გავრცელებულ სახეს წარმოადგენს ის დასაბამს აძლევს ადამიანის ახალ ცხოვრებას და ცოლქმრულ კავშირად ყალიბდება.

ძველ ქართულ სამართალში ქორწინების, როგორც ღვთაებრივი დანაწესის მიზანი იყო ქალსა და მამაკაცს შორის სულიერი ურთიერთობა, კაცობრიობის მოდგმის შენარჩუნება და გამრავლება.

ქართული ეთნოგრაფიული მასალებით და წერილობითი წყაროებით დასტურდება რომ საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში ქორწინებისას მხარეთა თანხმობის გარდა საჭირო იყო ეკლესიის თანხმობაც. ორივე მხარე ქრისტიანი უნდა ყოფილიყო, არაქრისტიანთან ქორწინება არ დაიშვებოდა, ვინაიდან ქრისტეს რწმენის გარეშე არ შეიძლებოდა ადამიანზე ღვთის კურთხევის გარდმოვლინება, რომელიც ხდებოდა საიდუმლოს მეშვეობით. აუცილებელი იყო მექორწინეთა შორის სჯულის კანონით დადგენილი ხორციელი და სულიერი ნათესაობის გამომრიცხველი ხარისხები დაცული ყოფილიყო. აქედან გამომდინარე ქრისტიანულმა რელიგიამ აკრძალა: ოჯახის წევრებსა და ნათესავებს შორის ქორწინება, ორი ძმის დაქორწინება დებზე, შვილად აყვანილთან ქორწინება, ასევე ე.წ. „სულიერი ნათესაობის“ დადგინებით აკრძალა ნათელ-მირონთა შორის ქორწინება.[59]

საქართველოში ნათესავთა შორის ეგზოგამია დაცულია მანამ, სანამ ნათესაობა შთამომავალთა მეხსიერებაში არის შენახული. ამასთან ეგზოგამია დაცულია იყო არ მხოლოდ ნათესავთა შორის, არამედ ერთი სოფლის ან ერთი თემის შიგნითაც, რომელთა მკვიდრნიც ერთი სალოცავის (ხატის) მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ (მაგალითად, მთაში). ქორწინება იკრძალებოდა, აგრეთვე, მოსისხლე გვარებს

[59] მეტრეველი ვ., ქართული სამართლის ისტორია, გამომცემლობა „მერიდიანი“. თბ.2016 გვ.358

შორისაც, იმის შემდეგაც კი, როცა გვარები შერიგდებოდნენ. აკრძალვა ძალაში იყო მანამ, სანამ ეს შთამომავალთა მესხიერებაში არსებობდა.[60]

ქალის საქორწინო ასაკად, ისევე როგორც, ძველ რომში განსაზღრული იყო 12 წელი, რაც შეეხება ვაჟებს, მათი საქორწინო ასაკი განისაზღვრა 15-16 წლით.[61] საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა ქორწინების ასაკი არსებობდა, ნ. მაჩაბელის მითითებით ქართლში ქალი 16-18 თხოვდებოდა ვაჟი კი 20-30 წლისა შეიძლებოდა დაქორწიბებულიყო.[62]

რუის-ურბნისის საეკლესიო კრების თანახმად ქალის ქორწინებისთვის 12 წლის ასაკი იყოს მიღებული: „ქალი ათორმეტი წლისასა უმცროისი ნუმცა შეყოფილ არს ქორწინებით მეუღლისადა"[63]

საქართველოში უძველესი პერიოდიდან არსებობდა ქორწინების ორი ძირითადი ტრადიცია: ქორწინება გარიგებით და ქორწინება მოტაცებით.

საქართველოს ზოგიერთ კუთხეში მოტაცება სავაჟკაცო საქმედაც ითვლებოდა. ზოგჯერ ის ეკონომიკური მიზეზითაც იყო გამოწვეული, ქალის გამოსასყიდად არსებული დიდი ფასი აიძულებდა ღარიბ გლეხს, მოეტაცებინა ქალი. სწორედ ამ გარემოებით იყო გამოწვეული ფიქტიური მოტაცებაც, რომელიც ქალის მშობლებთან შეთანხმებით ხდებოდა. ამ შემთხვევაში მდევართა დადევნებასაც ფორმალური სახე ჰქონდა – ქალისთვის პატივის მისაგებად. გარდა ეკონომიკური მდგომარეობისა, ქალის მოტაცება სხვა მიზეზებითაც იყო განპირობებული: ქალ-ვაჟის სიყვარული, როცა მშობლები მათ არ თანაუგრძნობდნენ, მეტოქეობა სხვა ვაჟისა რომელსაც სურდა იგივე ქალის შერთვა, წოდებრივი უთანასწორობა, ან კიდე თვითონ ქალის მიერ ვაჟის დაწუნება[64].

მოტაცების შემთხვევაში, ძალადობით იქნებოდა ეს თუ გაპარვით, ქალი საკუთარი ოჯახისაგან შორს, ნათესავის ან ახლობელის სახლში მიჰყავდათ. ამის შესახებ ისინი წინასწარ იყვნენ ინფორმირებულნი, ამ ოჯახისთვის ეს დიდ პატივად ითვლებოდა,

---

[60] ჭყონია ი., ქორწინები ინსტიტუტი მთიულეთში, საქ. სსრ მეცნიერებათა გამომცემლობა, თბილისი 1955წ. გვ 69-62

[61] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. VII, გვ.266

[62] ნ.მაჩაბელი, ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, თბ., 1978, გვ.18

[63] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 366

[64] ნ.ლუხუტაშვილი, საქართველოში საქორწინო წეს-ჩვეულებების ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები. http://economicprofile.org/wp-content/uploads/10/10g10.pdf

ოჯახის უფროსი არა თუ ვაჟის ინტერესების დამცველი, იყო არამედ თვითონ გამოდიოდა, თუ შეიძლება ითქვას, მომტაცებლის როლში და ყოველგვარ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებდა, თუ მოხდა ისე, რომ მშობლებმა ქალიშვილი დაიბრუნეს, ეს უპირველეს ყოვლისა, ამ ოჯახის შერცხვენაა. ამიტომ მოტაცებული მიჰყავდათ ავტორიტეტული და გავლენიანი პირის სახლში, რომელიც იმავდროულად ეკონომიურად ძლიერი უნდა ყოფილიყო.[65]

ქართული საქორწილო რიტუალის ერთ-ერთ მნიშვნელოვან დეტალს წარმოადგენდა მექორწინეებისათვის თავზე ხორბლის მარცვლების გადაყრა და პატარძლისათვის კალთაში პატარა ბიჭის ჩასმა. ამ ქმედებათა კვალი დღევანდელ სინამდვილეშიცაა ნაწილობრივ შემორჩენილი. საქორწილო ცერემონიალის ერთ საინტერესო მომენტს წარმოადგენდა ასევე მშობლიურ კერასთან პატარძლის გამოსამშვიდობებელი რიტუალური ტირილი. ქორწილის ერთი თვის შემდეგ პატარძალი წყალზე გაჰყავდათ, რითაც იწყებოდა მისი გარესამუშაოებზე დასაქმება. ქალი ამით პატარძლობას ასრულებდა და ოჯახის დიასახლისობას იწყებდა.

საქორწინო სიმღერათა შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს "მაყრული'". მაყრები ნეფესაც ჰყავდა და დედოფალსაც. მაყართა შორის მნიშვნელოვანია მახარობლის როლი. ის თოფის სროლითა და ყიჟინით ჯერ ნეფის მოსვლას ახარებდა პატარძლის ოჯახს, შემდეგ კი ვაჟის სახლში მიდიოდა. მახარობელს საჩუქარი სჭირდებოდა. იუმორი, სიცილი, სიმღერა, ცეკვა-თამაში საქორწინო ცერემონიის აუცილებელი ატრიბუტი გახლდათ. [66]

საქართველოში, ისევე, როგორც მთელს სამხრეთ კავკასიაში ქორწილი ორ ეტაპად მიმდინარეობდა: საქართველოშიც ქალის მამის სახლში გამართული ქორწილი უფრო მცირერიცხოვანი იყო. ქორწილის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რიტუალი იყო ჯვრისწერა, რომელიც, ჩვეულებრივ, საპატარძლოს სოფელში არსებულ ეკლესიაში მიმდინარეობდა.

## 2.3. ქორწინების სამართლებრივი ასპექტი

[65] ანთელავა ნ., ტრადიციული საქორწინო წეს-ჩვეულებანი სამეგრელოში ინტერნეტ წყარო გვ.60
[66] ქალი სამხრეთ კავკასიის კულტურაში: საქართველო. წიგნიდან: მზია წერეთელი – "გენდერი: კულტურული და სოციალური კონსტრუქტი., გვ 124-125

ქორწინება, ოჯახის მსგავსად, რთული და მრავამხრივი ფენომენია, რომელიც მკვეთრად ჩანს არა მარტო სამართლებრივ, არამედ ზნეობრივ, სოციალურ და ეკონომიკურ წახნაგებში. ქორწინება ძირითად შემთხვევებში არის ოჯახის შესაქმნელად მიმართული ქალისა და მამაკაცის ურთიერთპატივისცემასა და სიყვარულზე დამყარებული კავშირი. სიყვარული კი არის ის ფორმა, რომლის გარეშეც წარმოუდგენელია მყარი და სრულყოფილი ოჯახის შექმნა. ქორწინებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს ურთიერთობებს სამართლებრივი ნორმები არეგულირებენ. ისინი განსაზღვრავენ ქორწინების წესს და პირობებს.

ძველ რომში ქორწინებისათვის აუცილებელი იყო: 1. საქმროსა და საცოლის თანხმობა; 2. საქორწინო ასაკი ქალებისათვის, რომელიც შეადგენდა 12 წელს, ვაჟებისათვის კი 14 წელს; 3. მექორწინენი არ უნდა ყოფილიყვნენ სხვასთან ქორწინებაში; 4. მექორწინეებს არ უნდა ჰქონოდათ ქორწინების დამაბრკოლებელი გარემოებები; 5. მექორწინეთა შორის არ უნდა ყოფილიყო ნათესაური კავშირი აღმავალი და დაღმავალი ხაზით; 6. დაქორწინებისას სრულდებდა გარკვეული რიტუალი, რომელსაც უძველესი ფესვები ჰქონდა.[67]

ქორწინების შედეგად ქალი და მისი ბავშვები შედიოდნენ ქმრის ძალაუფლებაში. ქმრის ძალაუფლება ცოლის მიმართ იმდენად განუსაზღვრელი იყო რომ, ქმარს ცოლის ფიზიკური განადგურებაც კი შეეძლო. მას შემდეგ რაც ცოლი შევიდოდა ქმრის ოჯახში კარგავდა კავშირს მამის ოჯახთან. იგი ახლა უკვე თავისუფლდებოდა მამის ძალაუფლებისაგან და ექვემდებარებოდა ქმრის ძალაუფლებას. ცოლის ქონება გადადიოდა ქმრის მფლობელობაში და შესაბამისად მას აღარ შეეძლო გარიგებების დადება. თუმცა დროთა განმავლობაში ქმრის ეს გაბატონებული მდგომარეობა ცოლზე თანდათან დაიხვეწა და შეიცვალა.[68]

ქალს გათხოვებამდე საქმრო მიართმევდა სხვადასხვა საჩუქრებს, რომელიც შეიძლება ყოფლიყო ნივთები ან სხვა სახის ფასეულობანი. ქალს კი ოჯახიდან ატანდნენ მზითვს, რომელიც ასევე ქმრის საკუთრებას წარმოადგენდა. თუმცა, ჩვ. წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში რომში ჩამოყალიბდა წესი, რომლის მიხედვითაც

[67] ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია,. გამომცემლობა მერიდიანი თბ.2013 გვ 82-83

[68] მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები),. თბ.2013, მერიდიანი. გვ.102

ქალი უკან იბრუნებდა მზითვს ქმრის სიკვდილის, ქორწინების შეწყვეტის თუ სხვა შემთხვევებში.[69]

ძველ რომში ქორწინების შეწყვეტა ხდებოდა ძირითადად ოთხ შემთხვევაში:

1. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალებისას;
2. ერთ-ერთი მეუღლის დაპატიმრებისას;
3. ერთ-ერთი მეუღლის მოქალაქეობის ჩამორთმევისას;
4. განქორწინებით;

განქორწინების ინციატივა სხვადასხვა დროს სხვდასხვანაირი იყო. კლასიკურ პერიოდში განქორწინების უფლება ჰქონდა როგორც მამაკაცს, ისე ქალს. განქორწინება დაიშვებოდა ასევე ქორწინებისათვის უვარგისობის და მონაზვნად აღკვეცის შემთხვევაშიც.[70]

რაც შეეხება ქართულ სამართალს ჩვენი სახელმწიფო ლეგიტიმურად მიიჩნევს ქალისა და მამაკაცის მხოლოდ იმგვარ კავშირს, რომელიც აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, მათ შორის მოთხოვნას ქორწინების რეგისტრაციის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, თუ ქორწინება არ არის რეგისტრირებული, არც ოჯახი წარმოიშობა, მიუხედავად იმისა, ახასიათებს თუ არა ქალისა და მამაკაცის კავშირს ოჯახისათვის დამახასიათებელი სხვა ნიშნები, როგორიცაა მაგალითად: ერთობლივი თანაცხოვრება, ურთიერთზრუნვა და სხვა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იძლევა ქორწინების განსაზღვრებას. მისი 1106-ე მუხლის მიხედვით, ქორწინება ოჯახის შექმნის მიზნით ქალსა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირია, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ორგანოში.[71] დაქორწინებისათვის მთავარია დასაქორწინებელ პირთა ასაკი,[72] რომელიც საქართველოში 18 წელია,[73] ხოლო

[69] პერეტერსკი ი., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია,. 1947 წ,გვ 144-145.
[70] მეტრეველი ვ., რომის სამართალი (საფუძვლები),. თბ.2013, მერიდიანი. გვ.103
[71] იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1106-ე მუხლი.
[72] იქვე, 1107-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.
[73] იქვე, 1108-ე მუხლის პირველი ნაწილი.

გამონაკლის შემთხვევაში -16 [74] და ამ პირთა თანხმობა.[75] პირის თანხმობას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქორწინებისას, საქორწინო თანხმობა უნდა გაიცეს დამოუკიდებლად, ყველანაირი ზეწოლის გარეშე, ისე რომ პირი აცნობიერებდეს ქორწინებისა და ოჯახის თანაცხოვრების ყველა უპირატესობას და უარყოფით მხარეს.[76]

ქორწინების ძირითად განმსაზღვრელ ნიშანს წარმოადგენს თავისუფლების პრინციპის დაცვა, ვინაიდან ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რაც იმას ნიშნავს, რომ ქორწინების შესახებ შეთანხმება, აგრეთვე მისი შეწყვეტა მექორწინეთა ნება-სურვილზეა დამოკიდებული. ქორწინება, რომელიც ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედების საფუძველზე ჩატარდა აუცილებლდ ბათილად უნდა იქნას ცნობილი.[77]

საქორწინო სამართლებრივი ურთერთობის წარმოსაშობად მარტო ქალისა და მამაკაცის სურვილი დაქორწინების შესახებ არ კმარა. საჭიროა აგრეთვე რომ, ქორწინების რეგისტრაცია მოხდეს რეგისტრაციის სახელმწიფო ორგანოში. ეს იმას ნიშნავს, რომ საქორწინო ურთიერთობათა მოწერიგება სახელმწიფოს კომპეტენციაა. აქ მთავარია, მეუღლეთა მხრივ ოჯახის შექმნისადმი სერიოზული დამოკიდებულება. ქორწინების რეგისტრაცია დაწესებულია, როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების უზრუნველსაყოფად, მეუღლეთა და მათი შვილების პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვის მიზნით. ქორწინების რეგისტრაცია ამარტივებს მეუღლეთა შორის ურთიერთობას და შესაძლებლობას აძლევს სახელმწიფოს დაიცვას მეუღლეებისა და მათი შვილების ინტერესები. ქორწინების რეგისტრაციის საფუძველზე სახლმწიფოს შეუძლია გააკონტროლოს ქორწინებათა კანონიერება და თავიდან აიცილოს იმ პირთა დაქორწინება, რომელთაც არ შეუძლიათ შექმნან მყარი ოჯახი და ჰყავდეთ სრულფასოვანი შთამომავლობა.[78]

ქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან მეუღლეთა პირადი და ქონებრივი უფლება-მოვალეობების თანაბრობა კანონით განსაზღრული აუცილებლობაა.

[74] იქვე, მე-2 ნაწილი
[75] იქვე, 1107-ე მუხლის "ბ" ქვეპუნქტი
[76] А.А Пушкин, Деиствуюшее законода тельство о браке и семье , Харьков., 1992 с 141
[77] შ.ჩიკვაშვილი. საოჯახო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ 2004 წ. გვ. 79-80
[78] შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობის სამართალი. გამომცემლობა მერიდიანი თბ.2015 გვ 121-122

ყოველგვარი დისკრიმინაცია საოჯახო ურთიერთობებში კატეგორიულად არის აკრძალული. ქალი და მამაკაცი არა მარტო ქორწინების დროს, არამედ მეუღლეობრივი უფლებამოვალეობათა განხორციელების დროს სარგებლობენ თანაბარი უფლებებით, რაც მოიცავს გვარის არჩევის უფლებას, საოჯახო საკითხების ერთობლივ გადაწყვეტას, საქმიანობის არჩევის თავისუფლებას და საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებას.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, ქორწინება მხოლოდ მაშინ წარმოშობს მეუღეთა შორის უფლება-მოვალეობებს, როცა ხდება ამ ქორწინების სახელმწიფო რეგისტრაცია სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურში. რეგისტრაცია წარმოადგენს ერთადერთ დამადასტურებელ საბუთს მეუღლეებისათვის საქართველოში ნებადართულია საეკლესიო ქორწინება, თუმცა მას სამოქალაქო ქორწინების მსგავსი სამართლებრივი შედეგები არ მოჰყვება, ამიტომ საქართველოს ტერიტორიაზე, სხვა რომელიმე ორგანოში, თუნდაც ეკლესიაში რეგსტრირებულ ქორწინებას იურიდიული ძალა არ გააჩნია.[79]

ქალისა და მამაკაცის კავშირი, თუ იგი რეგისტრირებული არ არის შესაბამის სახელმწიფო ორგანოში, იურიდიული თვალსაზრისით, ქორწინებად არ ითვლება და ასეთი კავშირი წარმოადგენს მხოლოდ ქალისა და მამკაცის თანაცხოვრებას. რეგისტრირებული ქორწინებისგან განსხვავებით, ასეთი ფაქტობრივი ქორწინება სრულყოფილად არ წარმოშობს მექორწინეებისათვის სასურველ სამართლებრივ შედეგებს. მათ შორის ურთიერთობაში არ მოქმედებს მეუღლეთა თანაზიარი საკუთრების უფლება. კანონი არ ითვალისწინებს ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთობათა აღიარებას სასამართლოს მიერ. პირის გარდაცვალების ან მისი უზოუკვლოდ გამოცხადების შემთხვევაში, მასთან ფაქტობრივ საქორწინო ურთიერთბაში ადრე ნამყოფ არც ერთ პირს უფლება არაქვს მოითხოვოს მისი აღიარება კანონიერ მეუღლედან აქედან გამომდინარე, ვერ განხორციელდება რომელიმე სამემკვიდრეო ან საპენსიო უფლება.[80]

---

[79] შენგელია რ,. შენგელია ე., საოჯახო სამართალი,. თბილისი., 2009,გვ 70

[80] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი V საოხაჯო და მემკვიდრეობითი სამართალი.გამომცემლობა „სამართალი“. თბ 2000წ გვ.53-54

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ, ქორწინება არის ქალისა და მამაკაცის პატივისცემასა და სიყვარულზე დამყარებული ნებაყოფლობითი, სამისდღემშიო და სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებული კავშირი, რომელიც მეუღლეთა შორის წარმოშობს პირად და ქონებრივ უფლება-მოვალეობებს და რომლის მიზანია ოჯახის შექმნა.

რაც შეეხება ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებებს, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლში ზუსტადაა განსაზღრული ის გარემოებები, რომელთა არსებობაც ქორწინებისათვის ითვლება ხელის შემშლელად და ქორწინება არ დაიშვება. არ შეიძლება ქორწინების რეგისტრაციაში გატარდეს ის პირი, რომელიც უკვე იმყოფება სხვა ქორწინებაში.[81] ახალი ქორწინება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ადრინდელ მეუღლესთან განქორწინების შემდეგ. ერთქორწინების პრინციის განხორციელებას დიდი მნიშვნელობა აქვს ჯანსაღი და მტკიცე ოჯახის შექმნისათვის. ორცოლიანობა ან მრავალცოლიანობა მიუღებელია, როგორც კანონონით, ასევე ზნეობრივადაც.

ნათესავებს შორის ქორწინების აკრძალვა ერთ-ერთი უნმიშვნელოვანესი პრინციპია საოჯახო სამართალში. არ შეიძლება დაქორწინება პირდაპირი აღმავალი ან დაღმავალი შტოს ნათესავებს შორის, ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის, აგრეთვე მშვილებელსა და ნაშვილებს შორის.[82]

სამოქალაქო კოდექსი ქორწინების დამაბრკოლებელ ბოლო გარემოებად მიიჩნევს საქორწინო პირთაგან თუნდაც ერთ-ერთის მხარდაჭერის მიმღების აღიარებას, სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო. ასეთი პირი ანგარიშს ვერ უწევს თავის მდგომარეობას. მას არ შეუძლია შეიგრძნოს ოჯახური ურთიერთობის შინაარსი. ამიტომ, ასეთი პირი არ ითვლება საქორწინო სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად. ასეთ პირს დაქორწინება ეკრძალება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქორწინების რეგისტრაციამდე იქნა იგი ასეთად აღიარებული სასამართლოს მიერ. მხოლოდ სულით ავადმყოფობა და ჭკუასუსტობა ედება

[81] იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1120-ე მუხლი.
[82] Комментарий к семейному кодексу РФ. Под редакцией Крашенинникова П.В.и едугина П. А. М. 1997 С 41

საფუძვლად დაქორწინების აკრძალვას. სხვა სახის ავადმყოფობა, რა მძიმეც არ უნდა იყოს იგი, დაქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად არ მიიჩნევა.[83]

ქორწინების შეწყვეტის ორი საფუძველი არსებობს: მეუღლის გარდაცვალება და განქორწინება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება ან მისი გარდაცვლილად აღიარება, იწვევს ქორწინების შეწყვეტას. ასეთ შემთხვევაში არ არის აუცილებელი მოხდეს ქორწინების შეწყევტის რეგისტრაცია. საჭიროა მხოლოდ მეუღლის გარდაცვალების ან სასამართლოს მიერ მისი გარდაცვლილად გამოცხადების ფაქტის დაფიქსირება მოხდეს სახელმწიფო რეგისტრაციის ორგანოში.

მეუღლეთა განქოწინება სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში შეიძლება მოხდეს ორ შემთხვევაში:

1. როცა მეუღლეები არ დაობენ, ორივე თანახმაა განქორწინებაზე და შეაქვთ ერთობლივი განცხადება განქორწინების შესახებ;

2. როცა განქორწინებას ითხოვს ერთ-ერთი მეუღლე კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანო არ არის ვალდებული გამოარკვიოს მიზეზები, რამაც მეუღლეები მიიყვანა განქორწინების აუცილებლობამდე, ანდა მათ შესარიგებლად მიიღოს რაიმე ზომები. ხოლო მეუღლეები, როდესაც განქორწინების განცხადებით მიმართავენ სარეგისტრაციო ორგანოს, ვალდებულნი არიან განცხადებაში მიუთითონ, რომ ერთმანეთის მიმართ არ აქვთ პრეტენზიები და თანახმანი არიან განქორწინებაზე. სარეგისტრაციო ორგანო განქორწინების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს ერთთვიან ვადაში. ქორწინება შეწყვეტილად ჩაითვლება სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში მისი რეგისტრაციის მომენტიდან.[84]

## 2.4 ჯვრისწერა, როგორც სამართლებრივი ფაქტი

[83] ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ 2004 წ. გვ.66-68

[84] საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი V საოხაჯო და მემკვიდრეობითი სამართალი.გამომცემლობა „სამართალი“. თბ 2000წ გვ. 73-75

მართმადიდებელი ეკლესიის მიერ შესრულებული ჯვრისწერის აღიარებას ხანგძლივი ისტორია აქვს, რასაც ხელი ბიზანტიის იმპერიამ და მისმა სამართალმა შეუწყო. 893 წლიდან, იმპერატორ ლეონ VI ბრძენმა მიზანტიაში ქორწინების ერთადერთ ოფიციალურ და სამართლებრივად აღიარებულ სახედ მართმადიდებული ეკლესიის მიერ ჩატარებული ჯვრისწერა გამოცხადდა.

ისტორიულად საქართველოში საოჯახო ურთიერთობები და სამართალი ქრისტიანული ეკლესიის ზეგავლენის ქვეშ იყო, საოჯახო სამართალის საკითხები, მათშორის, ნიშნობა, განქორწინება, მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულება და ა.შ ეკლესიის იურისდიქციას განეკუთვნებოდა.[85] ქართული ეკლესია სრულად იცავდა სახარებისეულ დებულებებს, და რაიმე სამართლებრივ შეზღუდვას, სოციალური მდგომარეობის მხრივ განსხვავებულ პირთა ქორწინებაზე არ აწესებდა.[86] გვიან შუა საუკუნეების ქართული კანონმდებლობა ქორწინების ორმაგ-რელიგიურ და სამართლებრივ დატვირთვას აღიარებდა.[87] საუკუნეების განმავლობაში საქართველოში ქორწინებისა და სხვა მრავალი იურიდიული ფაქტის რეგისტრაციას მართმადიდებელი ეკლესია ახდენდა. მსგავსად ხდებოდა რუსეთის იმპერიაში და სხვა სახელმწიფოებში.[88]

საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის პერიოდში ქართული ეკლესიის როლი და ფუნქცია, მათშორის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მიმართულებით, ძალზე დაკნინდა. ეკლესიას ჩამოერთვა ქორწინების რეგისტრაციის უფლება, მის მიერ შესრულებული ჯვრისწერას კი, 1920 წლის 3 დეკემბერს „მოქალაქეობრივი მდგომარეობის რეგისტრაციის კანონით“, სამართლებრივი აღიარების შესაძლებლობა მოესპო.

დღემდე მოქმედი კანონით ჯვრისწერას სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს და შესაბამის იურიდიულ უფლება-მოვალეობებს არ წარმოშობს, ე.ი ჯვრისწერა მხოლოდ რელიგიური წესით გაფორმებული ქორწინებაა.

---

[85] ვაჩეიშვილი ა., ნარკვევები ქართული სამართლის ისტორიიდან ტ.II, თბ,1948წ , გვ.-50
[86] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია , ტ.VII, თბ, 1984. გვ-267.
[87] ნადარეიშვილი გ., ქართული სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია , თბ.2005წ გვ.154
[88] ჩიკვაიძე დ., საეკლესიო სამართალი, თბ, 2008წ, გვ-116.

ჯვრიწერის საიდუმლო, რომელიც დღესდღეობით აღესრულება საქართველოს ეკლესიაში, შედგება ორი ნაწილისაგან: წინდობისა და გვირგვინოსნებისაგან. თუმცა შესაძლებელია, რომ ეს ორი მსახურება ცალ-ცალკე აღესრულოს. წინდობისას იკურთხება ბეჭდები და დაახლოებით საერო ნიშნობას უტოლდება. წინდობა არ წარმოადგენს საიდუმლოს და არ იწვევს იურიდიულ შედეგებს. ჯვრისწერა აღსრულებულად ითვლება გვირგვინოსნების შემდეგ და მექორწილენი ითვლებიან ჯვარდაწერილად.

რუის-ურბნისის ძეგლისწერის მიხედვით ჯვრისწერის დამაბრკოლებელი გარემოებებია: 1. მექორწინეთა ხორციელი ნათესაობა; 2. მექორწინეთა სულიერი ნათესაობა; 3. მექორწილეთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი სამღვდელო ან სამონაზვნო დასში შედის; 4. მექორწილეთა შორის, რომელთაგან თუნდაც ერთი წარმართია, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს უკანასკნელი პირობას დადებს, რომ მოინათლება; 5. მექორწილეთა ასაკი და სულიერი მდგომარეობა.[89]

დღესდღეობით რელიგიური ქორწინება, ჯვრისწერა აღიარებულია მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში, მათ შორის, იტალიაში, ფინეთში, ნორვეგიაში, დანიაში, გაერთიანებულ სამეფოში, საბერძნეთში ავსტრალიაში, აშშ-ის შტატთა უმრავლესობაში და ა.შ.[90]

ევროპის სახელმწიფოთაგან ჯვრისწერის სამართლებრივ შედეგებს არ აღიარებს და მხოლოდ სამოქალაქო ქორწინების ფორმას ადგენს გერმანია, საფრანგეთი, ავსტრია რუმინეთი და ა.შ.

ქორწინება და საქორწინო სამართალი გერმანიაში მთლიანად სამოქალაქოსამართლებრივ სფეროში ექცევა და ამ მიმართულებით არცერთ ეკლესიას კომპეტენცია არ გააჩნია. გერმანიაში რელიგიურ ქორწინებას არანაირი სამართლებრივი შედეგი არ უკავშირდება, რადგან ქორწინება მთლიანად საერო ინსტიტუტად განიხილება და სახელმწიფო სარეგისტრაციო ორგანოში სრულდება.თუმცა გერმანიის სახელმწიფო ეკლესიების მიერ ჯვრისწერის ჩატარებას არ კრძალავს. ნებიემიერ რელიგიურ გაერთიანებას შეუძლია ჩაატაროს რელიგიური

[89] ლია ჭიღლაშვილი,. „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი მდგომარეობა საქართველოს კანონმდებლობით“. გვ.27

[90] ჩიკვაიძე დ., ჯვრისწერის იურიდიული აღიარების პრობლემები http://www.orthodoxy.ge/samartali/jvristsera.htm [25..05.2019]

ქორწინების რიტუალი, თუმცა იმ დათქმით რომ მას სამოქალაქო ქორწინება წინ უნდა უსწრებდეს.[91]

საფრანგეთში, რელიგიური ქორწინება და რელიგიური საქორწინო სამართალი სრულიად იგნორირებულია, ქორწინება მიჩნეულია მხოლოდ სამოქალაქო სამართლებრივ ინსტიტუტად. [92]

ავსტრიაში საეკლესიო ჯვრისწერა სამოქალაქო ქორწინებისთვის სტატუსს არ ატარებს, მას ხშირად ეკონომიკური მიზნებიდან გამომდინარე მიმართავენ, რადგან სახელმწიფოსთვის რელიგიური ქორწინების ფარგლებში დაბადებული ბავშვები მარტოხელა დედის შვილებად განიხილებიან, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან საკმაოდ მაღალი სოციალური დაცვით სარგებლობენ.[93]

რუმინეთში რელიგიური ქორწინება ნებადართულია, თუმცა მხოლოდ სამოქალაქო ქორწინების შემდეგ. რელიგიური ქორწინების ცერემონიის ჩასატარებლად აუცილებელია მღვდელს ან ცერემონიის განხორციელებაზე უფლებამოსილ ღვდელმსახურს წარედგინოს სამოქალაქო ქორწინების დამადასტურებელი მოწმობა. მსგავსადაა ბელგიაში, სადაც სამოქალაქო ქორწინება აუცილებლად უნდა უსწრებდეს რელიგიურ ქორწინებას.[94]

# თავი III

## მზითევი და ქალის მემკვიდრედ ყოფნის საკითხი

[91] რობერსი გ., სახელმწიფო და ეკლესია გერმანიაში, წიგნი: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. გ.რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბ 2011წ. გვ.106

[92] ბასდევან გოდემე.,სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში,წიგნი: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. გ.რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბ 2011წ. გვ.209

[93] პოზტი რ,. სახელმწიფო და ეკლესია ავსტრიაში., წიგნი: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. გ.რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბ 2011წ. გვ.453.

[94] რობერსი გ., სახელმწიფო და ეკლესია რუმინეთში, წიგნი: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. გ.რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბ 2011წ. გვ. 465

## 3.1 მზითვის ტრადიცია ქართულ სამართალში

ქართული სამარლის ნორმებით ქალის საქორწინო ქონება სხვადასხვა სახელით იყო ცნობილი კერძოდ, ”მზითევი”, ”სათავნო”, ”სათავისთავადო” და ”პირისანახავის”-გან. ქალს გათხოვების დროს მშობლები, მზითევს ატანდნენ. რაც ქალის სამკვიდრო წილი ან მისი მნიშვნელოვანი ნაწილი უნდა ყოფილიყო.[95] მზითევი უძრავი ქონების სახით IX საუკუნისათვის არსებობდა, მას ,,დედული” ე.ი. ისეთივე სახელი, ერქვა რომლითაც მამის საგვარეულო უძრავ ქონებას აღნიშნავდნენ (,,მამული”).[96]

ისტორიული ფაქტების მიხედვით, X-XI საუკუნეებში მზითვის ტრადიცია უკვე საკმაოდ გამყარებული და განვითარებული იყო. მზითვი ქალს მშობლებისაგან სამკვიდრო წილად ერგებოდა გათხოვების დროს, და მის საკუთრებად ითვლებოდა. ქმრის ოჯახში ამგვარად მიტანილი ქონება ამყარებდა ქალის პიროვნებასა და პოზიციას ახალ საცხოვრებელში. იმდენად, რამდენადაც მზითვი ქართული სამართლის სხვადასხვა საკანონმდებლო ძეგლებში იყო შეტანილი, მას იურიდიული ძალა ჰქონდა და ის განიხილებოდა როგორც დოკუმენტი.

ეთნოგრაფიული მასალისა და წერილობითი წყაროების მიხედვით ქალის მზითვის შემადგენლობა ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური დონის განვითარებასთან ერთად განიცდიდა ცვლილებას. მზითვის შემადგენლობის სტანდარტული წესი არ არსებობდა. ოჯახს შეეძლო არსებულ ნორმაზე მეტი ან ნაკლები მზითვი მიეცა ქალისათვის, რაც დამოკიდებული იყო როგორც ოჯახის მატერიალურ მდგომარეობაზე, ასევე მშობლების სურვილზე. რაც კარგად ჩანს დავით ბატონიშვილის სამართალში რომელშიც აღნიშნულია : "მზითევის მიცემის საზღვარი არასოდეს დაიდების, ამად რომელ დამოკიდებულ არს შეძლებასა ზედა ქალისა პატრონისასა“.[97]

---

[95] ნადარეიშვილი გ., ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, გამომცემლობა მეცნიერება 1965 წ. გვ.122

[96] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი, თხზ., 12ტ. ნაწ. II, თბ., 1929 წ. გვ. 74

[97] სამართლა ბატონიშვილის დავითისა, მუხლი 64, დ.ფურცელაძის გამოცემა., თბ.1964წ, გვ-41

ქალის გამზითვება ოჯახისთვის აუცილებლად გასაწევ ხარჯს წარმოადგენდა და არ ჰქონდა მნიშვნელობა სოციალურ წარმომავლობას. თუ ქალი მამით ობოლი იყო, მაშინ მზითვის თავმოყრაში აქტიურად მონაწილეობდა ბიძა (მამის ძმა), ეს უკანასკნელი ვალდებული იყო ობლისათვის მოემზადებია ისეთი მზითევი, როგორიც ღვიძლი შვილისა იქნებოდა[98]

ძველად მზითვის მიცემა სხვადასხვა ფორმით ყოფილა შესაძლებელი. მზითვი შეიძლება ყოფილიყო როგორც მოძრავი, ასევე უძრავი ქონება. უძრავ ქონებას უფრო მეტად იმ შემთხვევაში ატანდნენ, როცა ოჯახს მატერიალურად უჭირდა და უნარი არ შესწევდა მოძრავი ნივთებით ან ფულით გაემზითვებინათ ქალი. მზითვში გატანებულ უძრავ ქონებას "დედული" ეწოდებოდა, რომელიც დედის გარდაცვალების შემდეგ შვილებს რჩებოდა.[99]

ხელმოკლე ოჯახები უფრო მოკრძალებულ მზითვს უმზადებდნენ ქალიშვილებს, რაც, ძირითადად, პირველადი მოხმარების საგნები და ახალი ოჯახისათვის აუცილებელი ნივთები იყო. რაც შეეხება მდიდარ ოჯახებს, ისინი ქალიშვილებისათვის ფუფუნების საგნებს ყიდულობდნენ: ძვირფასი ქვებით მოჭედილ ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობებს, უძვირფასეს ავეჯსა და ხალიჩებს, ფაიფურის ჭურჭელს.

მზითვის მომზადებაში საპატარძლოს ოჯახს ახლო ნათესაობა ეხმარებოდა. ახლობლებს საჩუქრების სახით მოჰქონდათ ყველა ის ნივთი, რომლებიც მზითვისთვის იყო განკუთვნილი. დგებოდა საგანგებო „მზითვის წიგნი“. ქორწილის დღეს, ლხინის დასასრულს, აუცილებელი იყო „მზითვის წიგნის“ ხმამაღლა წაკითხვა. ხალხის წინაშე გამოიტანდნენ მზითვს, რომელსაც მოსწრებული სიტყვა-პასუხის მქონე საგანგებოდ არჩეული მამაკაცი ფეხზე მდგარი კითხულობდა. რაც შეეხება მზითვის გადაცემის რიტუალებს, მზითვის მირთმევა ქორწილის დღეს ხდებოდა. მზითვში გასატან აუცილებელ ნივთთა შორის დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა როგორც ე.წ. საყდრის იარაღებს, რასაც, ძირითადად, ხატები და ჯვრები

[98] ჭყონია ი., ქორწინები ინსტიტუტი მთიულეთში, საქ. სსრ მეცნიერებათა გამომცემლობა, თბილისი 1955წ. გვ 61

[99] ნადარეიშვილი, გ., ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან (ქონებრივი ურთიერთობის საკითხი) გამომცემლობა ,,მეცნიერება" თბ., 1965, გვ. 14

წარმოადგენდა, ასევე სასულიერო ხასიათის ლიტერატურას - ჟამნი, დავითნი, სახარება, სარწმუნოების წიგნი და სხვ.[100]

XIX-XX სს. ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით, ქართლ-კახეთში ქალის მზითვი შედგებოდა ძირითადად ორი ნაწილისაგან: ქალის პირადი და საოჯახო სარგებლობის ნივთებისაგან (ტანსაცმელი, სამკაული, შრომის იარაღები და წურჭელი) და მომგებიანი ქონებისაგან, რომელშიც შედიოდა პირუტყვი, ფული, მამული, ფუტკარი, და სხვა.[101]

ქალაქში მცხოვრები საშუალო შეძლების (ხელოსნის, ვაჭრის ან მოხელის) ოჯახიდან გათხოვილი ქალის მზითვი, თითქმის ემთხვევა სოფლად მიღებული მზითვის ნორმას, იმ განსხვავებით, რომ ქალაქში პირუტყვის მიცემა მზითვში წესად არ იყო და მის მაგივრად ქალს მიჰქონდა ფული. გარდა ამისა, მოქალაქის ოჯახიდან გათხოვილ ქალს უფრო მრავალფეროვან და ძვირფას სამოსსა და სამკაულებს ატანდნენ, ვიდრე გლეხისას.[102]

**საქართველოს ზოგიერთ** კუთხეში მოქმედი წესისაგან განსხვავებით სამეგრელოში და დასავლეთ საქართველოს ბარის მოსახლეობაში, მექორწინე ოჯახებს შორის არსებული ეკონომიკური ვალდებულებებიდან, „საქორწილოსთან“ ერთად, მზითვი წარმოადგენდა იმ სახის ფასეულობას, რომელზედაც მხარეთა შორის მოლაპარაკება-შეთანხმება წინასწარ ხდებოდა. მზითევის მოცულობა განსაზღვრავდა გასათხოვარი ქალის ბედიღბალს, რაც უფრო სოლიდური სახის მზითევს მოუყრიდა თავს ოჯახი, მით უფრო კარგ სიძესა და მოყვრებს შეიძენდა იგი და თავის ქალიშვილსაც უკეთეს პირობებს შეუქმნიდა. ამიტომ ქალის ოჯახი ყოველმხრივ ცდილობდა მდიდრული მზითვის მომზადებას, რასაც ქორწილამდე დიდი ხნით ადრე იწყებდა.[103]

**სამეგრელოშიც** მზითვის თავმოყრის წყაროს ძირითადად საოჯახო ქონება წარმოადგენდა. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი ღარიბი იყო და დამოუკიდებლად ვერ ართმევდა თავს აღნიშნულ ვალდებულებას, მზითვის შევსებაში

[100] ი.საგანელიძე “მზითვის ტრადიცია საქართველოში“.https://www.kvirispalitra.ge/istoriani/42529-mzithvis-tradicia-saqarthveloshi.html?device=xhtml
[101] მაჩაბელი ნ., ქორწინების ინსტიტუტი ქართლში, გვ-59
[102] იქვე, 57-58
[103] ს.მაკალათია „სამეგრელო“ “https://iberiana.wordpress.com/about/makalatia/

მონაწილეობდნენ ნათესავები და მეზობლებიც კი.[104] მზითვის შემადგენლობაში შედიოდა როგორც პირადი და საოჯახო სარგებლობის საგნები, ასევე მომგებიანი ქონება პირუტყვისა და ფულის სახით. მზითვის შემადგენლობაში შემავალი ყოველგვარი ღირებულება ერწყმოდა საერთო საოჯახო ქონებას და მათზე უფლება ქალს მხოლოდ განქორწინების შემთხვევაში ჰქონდა.[105]

**მთიულეთში** საქონელის გარდა, ქალს მზითვში მიჰქონდა რამოდენიმე ხელი ტანსაცმელი, ასევე საქმროსათვის კერავდა პერანგს რომლის დამზადებაში მას ზოგჯერ დედა ეხმარებოდა.

**ფშავ-ხევსურეთში** ქალს თავადვე უხდებოდა საკუთარი მზითვის მომზადება ბავშვობიდანვე (ქსოვდნენ, ართავდნენ, ქარგავდნენ). გარდა ამისა, მთაში ქალებს მზითვად საქონელსაც ატანდნენ.[106]

**სვანი** ქალის მზითვის ნაწილიც იყო პირუტყვი (ერთი ძროხა, წვრილფეხა საქონელი, თითო შინაური ფრინველი და სხვ.) რასაც ემატებოდა სასიძოს მხრიდან, ქალის ოჯახში დატოვებული თანხით ნაყიდი საოჯახო ნივთები. მზითვს ემატებოდა ასევე ქმრის ოჯახის ან ახლო ნათესავების მიერ, ქორწილზე მორთმეული ,,პირისანახავი", რომელშიც პირადი მოხმარების საგნები (ტანსაცმელი, სამკაულები და სხვ.) შედიოდა. საშუალო და დაბალი ფენის ნეფის ოჯახი, რძალს პირისანახავში ძროხას ან ცხვარს აძლევდა.

გვიანფეოდალური ეპოქა მკვეთრად გამოირჩევა მზითვის განვითარებული ინსტიტუტით. ამ დროისათვის უკვე არსებობდა „მზითვის წიგნი“, რომლის პირველ ნაწილში მოცემულია ასულის გათხოვების გარემოება და სასიძოს ვინაობა, რასაც მოსდევს ქალისათვის მზითვად მიცემულ ნივთთა დაწვრილებითი ჩამონათვალი. ფურცლის ბოლოში დასმული თარიღით. მზითვი ქართული სამართლებრივი ნორმების მიხედვით, ქალის საკუთრება იყო და მისი ხელყოფის უფლება არავის ჰქონდა. მზითვის წიგნს კი იურიდიული საბუთის ძალა გააჩნდა.

---

[104] მაჩაბელი, ნ. ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. გამომცემლობა "მეცნიერება" თბ., 1978, გვ. 57
[105] მაჩაბელი, ნ. ქორწინების ინსტიტუტი ქართლში. გამომცემლობა "მეცნიერება" თბ., 1978, გვ-63
[106] ჭყონია ი., ქორწინები ინსტიტუტი მთიულეთში, საქ. სსრ მეცნიერებათა გამომცემლობა, თბილისი 1955წ. გვ 69

**ათენში**, მზითვზე ქალის მამას, კირიოსს უნდა ეზრუნა. მზითვი მოიაზრებოდა ქალის მატერიალური უზრუნველყოფის მექანიზმად. მამისთვის დიდ სირცხილად ითვლებოდა თუ ქალიშვილს მზითვით ვერ გაისტუმრებდა. ქმარს, ქალის მამის მიერ მზითვით გამოხატული კაპიტალური ამონაგები თანხით უნდა უზრუნველეყო ცოლის შენახვა. მზითვის ფაქტობრივი მესაკუთრე კი მათი შვილი ხდებოდა.

რაც შეეხება **რომს**, მზითვის განკარგვასთან დაკავშირებით სხვადასხვაგვარი წესი არსებობდა. ქმარს უფლება, ჰქონდა განეკარგა ცოლის მზითვი, თუმცა სამართლებრივად ქალს ეკუთვნოდა. მზითვის შესახებ მოლაპარაკებას მხარეები აწარმოებდნენ. გაყრის შემთხვევაში როგორც საბერძნეთში, ისე რომში, მზითვი ქალს უკან უბრუნდებოდა; თუ ქმარი არ სურდა მზითვის დაბრუნებაზე, ამ შემთხვევაში ქალის მხარე სასამართლოს მიმართავდა და იწყებოდა დავა.[107]

მზითვის განკარგვის საკითხი საკმაოდ განსხვავებული იყო **სპარტაში**. არისტოტელე უარყოფითად აფასებდა, როცა სპარტელი ქალები დიდძალ საკუთრებას ფლობდნენ მზითვის სახით. სხვა წყაროებზე დაყრდნობით, მეცნიერთა ნაწილი უარყოფდა მზითვის არსებობას სპარტაში და მას ქორწინების დროს მხარეთა შორის ქონების თაობაზე დადებულ შეთანხმებად მოიხსენებდა.

საქართველოში საბჭოთა კავშირის დროს იწყება მზითვის ტრადიციის შესუსტება და სიყვარულის საფუძველზე ოჯახის შექმნის საკითხის პროპაგანდა. ამასთანავე, ნივთებმა, რომლებიც ქალს მზითვში მიჰქონდა, მასობრივი წარმოების შედეგად ღირებულება დაკარგა. მზითვი მოძველებულ ტრადიციად მიიჩნიეს და მას სავალდებულო ხასიათი აღარ ჰქონდა. შესაბამისად, მშობლების მონაწილეობა ქალიშვილების დაოჯახებაში შესუსტდა. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ეს ტრადიცია არ გამქრალა და დღემდე შემორჩა. ქალს მზითვში, ძირითადად, საყოფაცხოვრებო ნივთები მიაქვს, რასაც ის მატერიალური ღირებულება, რაც ადრე ჰქონდა, აღარ აქვს.

## 3.2 ნიშნობის ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე

[107] მეტრეველი.ვ., რომის სამართალი საფუძვლები, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ.2013 გვ102-103

რომაული სამართალი ნიშნობას არ ყოფს ორ ეტაპად. იგი ერთიან აქტადაა წარმოდგენილი და "sponsalia" ანუ „დაპირება" ეწოდება, რომელიც გულისხმობს მოლაპარაკებით გარიგებას.

**რომის სამართლის** მიხედვით იუსტინიანეს დიგესტების 23-ე წიგნის პირველი ტიტულის 1-ლი მუხლში რომაელი იურისტი ულპიანე აყალიბებს ნიშნობის ცნებას: „ნიშნობა არის მომავალი ქორწინების დათქმა და ორმხრივი დაპირება".[108]

ნიშნობა უმეტესწილად მშობლების სურვილით და ურთიერთშეთანხმებით იმართებოდა და აუცილებელი არიყო მომავალ მექორწინეთა დასწრება. რომაული სამართალი არ იცნობდა აკვანში ნიშნობას, ნიშნობისთვის მინიმალური ასაკი იყო შვიდი წელი, ნიშნობას არ აუქმებდა შეურაცხადობა თუ იგი ნიშნობის შემდგომ დადგებოდა.

ქალიშვილს ნიშნობაზე უარის თქმა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეეძლო თუ მას უღირსი ზნის ან სახელგატეხილ საქმროს ურჩედნენ. ხოლო თუ ვაჟი თანახმა არ იქნებოდა მისი სახელით ნიშნობის დაწესება არ შეიძლებოდა. თითქმის ყოველთვის ნიშნობა შუამავლი პირების მეშვეობით ხორციელდებოდა. რომში ნიშნობის შემდეგ შეიძლება რამდენიმე წელიც გასულიყო, ამის მიზეზი კი მეტწილად საქმროს ან საცოლის ჯანმრთელობის მდგომარეობა, მშობლების გარდაცვალება ან მძიმე დანაშაულის ჩადენა ყოფილიყო.[109]

**სომხებში** სარძლოს შერჩევისას განსაკუთრებით აქტიურობდნენ დასაქორწინებელი ვაჟის მშობლები, მათი ჩარევის გარეშე ახალგაზრდები ერთმანეთს ვერ დაუკავშირდებოდნენ. შესაძლებელია ქალ-ვაჟს ერთმანეთი მოწონებოდათ რელიგიური დღესასწაულების დროს (ყველიერი, აღდგომა, წყალკურთხევა და ა.შ.), რომლებიც სახალხო ზეიმის სახეს ატარებდა, თუმცა გადამწყვეტი სიტყვა თითქმის ყოველთვის მშობლებს ეკუთნოდათ. მთავარი ყურადღება ექცეოდა სარძლოს ან სასიძოს ოჯახის სოციალურ და მატერიალურ მდგომარეობას, მათი მშობლების სანათესაო წრეს, თავად კანდიდატის პირად თვისებებსა და ჯანმრთელობას.

---

[108] შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, გამომცემლობა, „მერიდიანი ", თბილისი, 2003 წ. გვ.7

[109] შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, გამომცემლობა, „მერიდიანი ", თბილისი, 2003 წ. გვ. 8-9

შედარებით ნაკლები ყურადღება ექცეოდა საქმროს ან საცოლის გარეგნობას, რასაც თვითონ ახალგაზრდები გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებენ.

სარძლოს შერჩევის შემდეგ, ვაჟის ოჯახი შუამავალს ( „მიჩნორთ“) გაუგზავნიდა ქალის მშობლებს. შუამავალი უნდა ყოფილიყო ოჯახის ახლობელი, რომ საიდუმლო არ გაემჟღავნებინა. შუამავალი მოლაპარაკებას აწარმოებდა ქალ ვაჟის დედ-მამას შორის. მას შეიძლება რამდენჯერმე დასჭირვებოდა მისვლა, ვიდრე საპატარძლოს მშობლებს არ დაითანხმებდა, თუმცა ეს თანხმობაც პირდაპირ არასოდეს წარმოითქმოდა.

შემდეგ ეტაპზე ქალიშვილის ოჯახს უკვე ვაჟის მშობლები და ბიძა ესტუმრებოდნენ მოსალაპარაკებლად („ხოსტევილ“) ამ დროს სახელდახელო სუფრა გაიმართებოდა და ოჯახები ნიშნობაზე („ნიშანდექ“) შეთანხმდებოდნენ.

ნიშნობა უნდა გამართულიყო უქმე დღეებში, შაბათ-კვირას ან რომელიმე რელიგიურ დღესასწაულზე. ვაჟის მხრივ, მიდიოდა 4-5 კაცი, მათ შორის აუცილებლად უნდა ყოფილიყო ნათლია, ამ რიტუალს აუცილებლად უნდა დასწრებოდა ქალის ნათლიაც. ვაჟის მხარე მიიტანდა ოქროს ბეჭედს, სამკაულებს, ყვავილების თაიგულს, სასმელს ბოთლების კენტი რაოდენობით. გაიშლებოდა სუფრა, რომელზედაც ქალის ოჯახიც კენტი რაოდენობის ჭურჭლით დადგამდა სასმელს. სუფრაზე უნდა ყოფილიყო ტკბილეული, სუნჯუხი, ბასთურმა, მწვადი, თევზი, ყაურმა, ხაშლამა, ბაზუქი (მწნილი), ჩაი და ყავა. სუფრასთან პირველად დასვამდნენ ვაჟის წარმომადგენლებს, შემდეგ - ქალის ნათესავებს. სარძლოს ნიშანს სადედამთილო გადასცემდა და თან დაურთავდა - „ერთ ბალიშზე დაბერდით და “გამრავლდითო“. სომხურ ყოფაში სრულწლოვანი წყვილ ის ნიშნობის გარდა, წინათ არსებობდა დაუბადებელ ბავშვთა ნიშნობა და აკვანში ნიშნობა.

ნიშნობის შემდეგ სასიძო ესტუმრებოდა ხოლმე ქალის ოჯახს, თან საჩუქრები მიჰქონდა ბოხჩით: თავსაფარი, ტკბილეული და ა.შ. მიღებული იყო დანიშნულის მოიპატიჟებაც ვაჟის ოჯახში.[110]

**აზერბაიჯანშიც** საპატარძლოს და სასიძოს შერჩევისას მშობლები ღებულობენ გადაწყვეტილებას. აქაც საქმეში ერთვებოდა შუამავალი ქალი („არარვად“) , რომელიც მოლაპარაკებას წარმართავს ქალ-ვაჟის მშობლებს შორის. ყურადღება ექცევა სარძლოს ან სასიძოს ოჯახის ქონებრივ მდგომარეობასა და რეპუტაციას, მშობლების ნათესაურ წრეს, მათ ავტორიტეტს, ქალ ვაჟის პირად თვისებებს, და ჯანმრთელობას. ამ დროს შედარებით უკანა პლანზე დგას საქმროს ან საცოლის გარეგნობა.

საქორწინო მოლაპარაკებათა პირველ ეტაპზე (შერჩევა, გაკითხვა) აქტიურობას ქალები იჩენდნენ, შემდეგ საქმეში მამაკაცები ებმებოდნენ. საპატარძლოს სახლში მიდიოდნენ ვაჟის მამა, ბიძები ორივე მხრიდან და სასიძო. თავის უახლოეს ნათესავებს იწვევდა ქალის მამაც. ამ ცერემონიალში დაუპატიჟებლობას ახლო ნათესავები დიდ შეურაცხყოფად მიიჩნევდნენ და ასეთი პირი, როგორც წესი, ნიშნობა-ქორწილზე აღარ მივიდოდა.

აზერბაიჯანულ ნიშნობაში ისლამური რელიგიის გავლენა შეიმჩნეოდა. ეს განსაკუთრებით ეტყობოდა სუფრასა და ტრადიციული ხონჩის შემადგენლობას - ალკოჰოლური სასმელები იკრძალებოდა და საქორწინო ციკლის ეს ეტაპი მოლას მონაწილეობით მიმდინარეობდა. ნიშნობაზე იწვევდნენ მოლასა და უახლოეს ნათესავებს. თეორიულად არსებობდა შესაძლებლობა ნიშნობის დროს საპატარძლოს არასასურველი ქორწინება ჩაეშალა, რადგან მოლას არ ჰქონდა უფლება ქალის ნების გარეშე დაექორწინებინა იგი, მაგრამ პრაქტიკულად ასეთი შემთხვევა იშვიათია.

XX საუკუნის 80-იან წლებამდე ნიშნობისას საპატარძლო მხოლოდ ქალებს შეეძლოთ ენახათ, ხოლო სასიძო თავის ნიშნობას არ ესწრებოდა, XX საუკუნის ბოლოსათვის, ცალკეულ შემთხვევაში მას შემდეგ, რაც საპატარძლოს სადედოფლო ტანსაცმლით შემოსავდნენ, იგი რიტუალის დანარჩენ მონაწილეებს უერთდებოდა,

[110] კობახიძე მ., „ეთნოსები საქართველოსი“. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL1.32&d=HASH01539272c0a61b8f8dfb8ff9.7

აქვე იმყოფებოდა სასიძოც. ამრიგად აღარ ხდებოდა ნიშნობის რიტუალისას სასიძოსა და საპატარძლოს იზოლაცია ერთმანეთისგან.[111]

**გერმანიაში** ნიშნობა, ოჯახური ცხოვრების დაწყებას ნიშნავდა. ნიშნობის შემდეგ წყვილი თანაცხოვრებას იწყებდა და ეს რამდენიმე წელს გრძელდებოდა.

**იტალიაში** ნიშნობა მხოლოდ ქორწილისთვის მზადებას წარმოადგენდა. საქმროს საცოლის ოჯახში სტუმრობა შეეძლო, თუმცა ოჯახის წევრების მკაცრი ზედამხედველობით. ასე გრძელდებოდა ვიდრე დაქორწინდებოდნენ. ქორწინებამდე ფიზიკური ურთიერთობა კი დაუშვებელი იყო.

**შვეიცარიაში** ნიშნობის შემდეგ წყვილი ვალდებული იყო ეგრეთწოდებული ტესტი გაევლო, მღვდელთან საუბრის სახით, თუ რამდენად იყო წყვილი მზად ერთობლივი ცხოვრების,დასაწყებად.

**ისლამურ** ქვეყნებში, ნიშნობის პროცესში სასიძოსა და საპატარძლოს ერთმანეთს წარუდგენენ. საქმროს უფლება ეძლევა მომავალი მეუღლის სახე დაინახოს და რამდენიმე სიტყვით დაელაპარაკოს ნათესავების თანდასწრებით. გოგონაზე შეხება სრულფასოვან, ქორწინედამდე დაუშვებელია.

**იაპონიაში** ქორწინება მშობლების გადაწყვეტილებით იმართებოდა, ამიტომ ნიშნობაზე ხდებოდა მომავალი მეუღლეების გაცნობა. თუ საქმრო ყველა საქორწინო ფორმალობას გაითვალისწინებდა, საცოლეს 9 საჩუქარს ჩუქნიდა. გარდა ამისა საქმროს ოჯახი მომავალ ნათესავებს ფულად ჯილდოს გადასცემდა ან ნივთებს, რაც წარმატების სიმბოლოდ ითვლებოდა. თუმცა დროთაგანმავლობაში მსგავსი ტრადიცია სულ უფრო იშვიათად გვხდება იაპონიაში და დღეს ნიშნობის დროს ძირითადად ბეჭდების გაცვლით შემოიფარგლებიან.[112]

---

[111] ლ. ჭიღლაშვილი, „ქორწინების ფორმები“ თბ. 2012. სამეცნიერო ჟურნალი, აკადემიური მაცნე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი N2, გვ 98-104

[112] ლ. ჭიღლაშვილი, „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი უფლებები-ზოგადი მიმოხილვა, თბ. 2012 სამეცნიერო ჟურნალი, აკადემიური მაცნე. გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, გვ. 222-228.

# თავი IV

# ნიშნობის თანამედროვე ყოფა

## 4.1 ნიშნობის სამართლებრივი რეგულაცია

როგორც ცნობილია, მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ნიშნობის ინსტიტუტი საკანონმდებლო წესით იყო რეგლამენტირებული, პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოს კანონმდებლობაში ნიშნობის ცნება არ განიხილებოდა. ე.წ. სოციალისტური საოჯახო კანონმდებლობა მოუწესრიგებელს ტოვებდა ამ საინტერესო ინსტიტუტს.

ახალ სამოქალაქო კოდექსში კი კანონმდებლებმა გაითვალისწინეს ტრადიციული ნიშნობის ფორმის აქტუალურობა და ევროპის 20 ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად ნიშნობის საკითხებს მიუძღვნა 1109-ე მუხლი, სადაც „ნიშნობა“ შემდეგი სახით არის განმარტებული:

„დასაქორწინებელ პირთა თანხმობა, ნიშნობა“, მუხლი 109-ე ამ მუხლში აღნიშნულია:

1. დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა (ნიშნობა) არ წარმოშობს შემდგომში დაქორწინების ვალდებულებას.
2. ნიშნობა არ არის სასამართლოში იძულებითი დაქორწინების მოთხოვნის შესახებ სარჩელის წარდგენის საფუძველი.
3. ნიშნობასთან დაკავშირებული საჩუქრები დაუქორწინებლობის შემთხვევაში მხარეებს უკან უბრუნდებათ”.[113]

[113] იხ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1109-ე მუხლი.

ნიშნობა წარმოადგენს მომავალ მეუღლეთა ნების გამოვლენას, რომლის მიხედვითაც ისინი აცხადებენ, რომ აპირებენ დაქორწინებას. ნიშნობას არ გააჩნია სავალდებულო ძალა, რაც იმას ნიშნავს, რომ დანიშნულ პირებს თავისუფლად შეუძლიათ უარი თქვან დაქორწინებაზე და ნიშნობის ფაქტიდან გამომდინარე მეორე პირი ვერ მოითხოვს სასამართლოში იძულებით ქორწინებას.

საზოგადოებაში არსებობს დამკვიდრებული ტრადიცია, რომ დაქორწინების მსურველ პირთა ნათესავებმა და ახლობლებმა სამომავლო ქორწინების აღსანიშნავად დაასაჩუქრონ მომავალი მეუღლეები, რაც ეფუძნება ვარაუდს, რომ დანიშნული წყვილი გარკვეული პერიოდის შემდეგ უთუოდ იქორწინებს. ხოლო ვინაიდან ნიშნობას არ გააჩნია სამართლებრივად სავალდებულო ძალა, კანონმდებელი ადგენს ნიშნობის საჩუქრების (რაც ხშირად ძვირადღირებული ნივთებია) მხარეთათვის დაბრუნების წესს, იმ შემთხვევისათვის, როცა ნიშნობას არ მოყვება ქორწინება.

საჩუქრის უკან დაბრუნების საფუძველს წარმოადგენს მომავალ მექორწინეთაგან ერთ-ერთის მიერ უარის თქმა დაქორწინებაზე. იმ შემთხვევასი თუ ერთ-ერთი მათგანი საპატიო მიზეზის გამო ითხოვს ქორწინების რეგისტრაციის გადადებას ( მზიმე ოჯახური მდგომარეობა, ავადმყოფობა და სხვა) ეს არ ჩაითვლება საჩუქრის უკან დაბრუნების საფუძვლად.[114]

გერმანული სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ნიშნობა, როგორც სამართლებრივი ნორმა, შემდეგი სახით არის ახსნილი - „ნიშნობის ჩაშლისას თუ ქორწინება არ შედგება, მაშინ ნებისმიერ დანიშნულს უსაფუძვლო გამდიდრების შესახებ ნორმების თანახმად, შეუძლია მეორე მხარისაგან მოითხოვოს ყველა იმ ნივთის უკან დაბრუნება, რაც მან ამ უკანასკნელს აჩუქა ან ნიშნად გადასცა. საეჭვოობისას ივარაუდება, რომ უკან დაბრუნების მოთხოვნა გამორიცხულია, თუ ნიშნობა უქმდება ერთ-ერთი დანიშნულის გარდაცვალებით“. ამდენად, გერმანული კანონმდებლობა, საქართველოს კანონმდებლობის მსგავსად, დასაშვებს ხდის ნიშნობის ცნების სამართლებრივ განმარტებას, თუმცა ნიშნობა არ ითვლება წყვილთა შორის იძულებითი ქორწინების ვალდებულებად.

[114] შენგელია საოჯახო სამართალი გვ.82-83

# დასკვნა

სამაგისტრო ნაშრომში დასკვნის სახით შევეცადეთ ჩამოგვეყალიბებინა საკვლევი თემის ის ძირეული საკითხები, რომელიც უკავშირდება ნიშნობის ინსტიტუტის წარმოშობისა და განვითარების თავისებურებებს.

კვლევის მეთოდების გამოყენებით, ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნობით განვიხილეთ როგორც ნიშნობის, ისე ქორწინების ტრადიციული წეს-ჩვეულებები; გარიგებითი ქორწინება, მცირეწლოვანთა დაწინდვა, ქორწინება საცოლის მოტაცების, ძალადობითი დათავისებისა და მორალური იძულების გზით.

გარიგებითი ქორწინების შემთხვევაში გავეცანით ქალ-ვაჟის შერჩევა-გაკითხვის წესს, შევეხეთ საქართველოში ცნობილი მაჭანკლობის ინსტიტუტს, რომლის ავტორიტეტიც მხარეთა მიერ პირობის (ვალდებულების) დაურღვევლობის გარანტიას იძლეოდა.

ნიშნობის „მრავალფეროვნებიდან“ ყურადსაღებია მცირეწლოვანთა დაწინდვის, მუცლად შეთქმისა და „ხელის დაკვრით“ დანიშვნის წესიც. ასეთი წესით დანიშვნას ადგილი ჰქონდა თავშეყრის ადგილებში. საქართველოს სხვადასხვა მხარეში ასევე ფართოდ იყო გავრცელებული ცოლის შერთვა მოტაცების გზით, რაც მრავალი მიზეზით იყო განპირობებული, ერთ-ერთი მიზეზი იყო სოციალური მდგომარეობაც.

ნაშრომში გაანალიზებული მასალა საშუალებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ აღნიშნული ჩვეულებები სხვადასხვა ქრონოლოგიურ პერიოდშია ჩამოყალიბებული, მაგრამ გენეტიკურად ერთი გარკვეული მოვლენისა და ეპოქის წარმონაქმნები არიან.

რაც შეეხება ქორწინებისა და ჯვრისწერის აქტუალურ საკითხებს ეთნოგრაფიული ხასიათის და სხვა სახის მასალებზე დაყრდნობით საქართველოში ნიშნობის საკითხი რეგულირდებოდა როგორც საერო საკანონმდებლო ძეგლებით, ისე ადათობრივი სამართლის ნორმებით. ნიშნობა სამოქალაქო გარიგების-ხელშეკრულების კლასიკური მაგალითი იყო. მისი დარღვევისათვის დამნაშავეს ადათობრივი სასამართლოს მხრიდან გარკვეული გადასახადი უნდა გადაეხადა, ან სხვა შემთხვევაში მის მიმართ სისხლის პასუხისმგებლობაც კი შეიძლება დამდგარიყო.

ქართული ისტორიული წყაროების თანახმად საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ქორწინებისას მხარეთა თანხმობის გარდა საჭირო იყო ეკლესიის თანხმობაც.

დღევანდელი კანონმდებლობით, ქორწინება არის ოჯახის შექმნის მიზნით ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს შესაბამის ორგანოში.

მთელი რიგი ქვეყნების კანონმდებლობა კრძალავს ქორწინებას იმ პირებს შორის, რომლებიც ნათესაობის ისეთ ხარისხში იმყოფებიან, რომელიც სახიფათოა შთამომავლობისთვის. ჩვენი კანონმდებლობით ზუსტადაა გაწერილი თუ ვის შორის ქორწინებაა კანონით აკრძალული. თუმცა მათ რიცხვს არ მიეკუთვნებიან გვერდითი შტოს ნათესავები, რომლებსაც განეკუთვნებიან დეიდაშვილის, მამიდაშვილის, ბიძაშვილის, დეიდების და დისშვილების, ბიძებსა და დისშვილის, მამიდასა და ძმისშვილის და სხვათა ქორწინება, რაც ჩვენი აზრით ქორწინების დამაბრკოლებელ გარემოებად უნდა იყოს მიჩნეული.

ნაშრომზე მუშაობისას დავადგინეთ, რომ ისტორიულად საქართველოში საოჯახო ურთიერთობები და სამართალი ქრისტიანული ეკლესიის ზეგავლენის ქვეშ იყო, საოჯახო სამართლის საკითხები, მათ შორის, ნიშნობა, განქორწინება, მეუღლეთა ურთიერთდამოკიდებულება და ა.შ ეკლესიის იურისდიქციას განეკუთვნებოდა.

საქართველოს დემოკრატიული რეპუბლიკის პერიოდში ქართული ეკლესიის როლი და ფუნქცია, მათ შორის სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის მიმართულებით, ძალზე დაკნინდა. ეკლესიას ჩამოერთვა ქორწინების რეგისტრაციის უფლება, მის მიერ შესრულებული ჯვრისწერას კი, სამართლებრივი აღიარების შესაძლებლობა მოესპო.

დღემდე მოქმედი კანონით ჯვრისწერას სამართლებრივი მნიშვნელობა არა აქვს და შესაბამის იურიდიულ უფლება-მოვალეობებს არ წარმოშობს, ე. ი. ჯვრისწერა მხოლოდ რელიგიური წესით გაფორმებული ქორწინებაა.

ნაშრომში ასევე განვიხილეთ მზითვის ტრადიცია და ნიშნობის ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე. საინტერესოა მზითვის ტრადიცია, რომელიც

ქორწინებამდე მისასვლელ, ერთ-ერთ აუცილებლად გასავლელ ეტაპს წარმოადგენდა. მზითვი ქართული სამართლებრივი ნორმების მიხედვით, ქალის საკუთრება იყო და მისი ხელყოფის უფლება არავის ჰქონდა. მზითვის წიგნს კი იურიდიული საბუთის ძალა გააჩნდა. გვიანშუასაუკუნეებში მოქმედი კანონის თანახმად, ოჯახი ვალდებული იყო, მშობლის ქონებიდან, ქალისათვის მისი კუთვნილი წილი, მზითვის სახით გაეტანებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქალი მზითევს კანონის ძალით წაიღებდა.

ზემოაღნიშნულ ნაშრომში ასევე განვიხილეთ ნიშნობის ინსტიტუტი სხვადასხვა ქვეყნის მაგალითზე და ნიშნობის განსხვავებულ ტრადიციულ წეს-ჩვეულებებზე.

ნაშრომის ბოლო თავი კი მიეძღვნა ნიშნობის სამართლებრივი რეგულაციის საკითხებს. როგორც ცნობილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ნიშნობის ინსტიტუტი საკანონმდებლო წესით იყო რეგლამენტირებული, პოსტსაბჭოთა პერიოდში კი საქართველოს კანონმდებლობაში ნიშნობის ცნება არ განიხილებოდა. ე.წ. სოციალისტური საოჯახო კანონმდებლობა მოუწესრიგებელს ტოვებდა ამ საინტერესო ინსტიტუტს.

ახალ სამოქალაქო კოდექსში კი ქართველმა კანონმდებლებმა გაითვალისწინეს ტრადიციული ნიშნობის ფორმის აქტუალურობა და კანონში ჩაიწერა შემდეგი შინაარსის ნორმა, სადაც (ევროპის 20 ცივილიზებული ქვეყნების მსგავსად) ნიშნობა წარმოადგენს მომავალ მეუღლეთა ნების გამოვლენას ქორწინებისათვის და მას არ გააჩნია სავალდებულო ძალა.

ამდენად, ნაშრომზე მუშაობის პროცესში კვლევებმა აჩვენეს, რომ თანამედროვე პერიოდში მნიშვნელოვნად შემცირდა ოჯახისა და ქორწინების მსურველთა სტატისტიკური მონაცემები, საგრძნობლად გაიზარდა ტრადიციული ოჯახების ნგრევის ფაქტები. თანამედროვე ურთიერთობებმა შეარყია ჩვენი ძირძველი ტრადიციები. ძველად თუ ნიშნობა ქორწინების აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენდა დღეისათვის ეს ტრადიცია თითქმის აღარ არსებობს. შემცირდა ქრისტიანული წესით შექმნილი ოჯახების რიცხვიც, ხშირ შემთხვევაში ახალგაზრდები უგულებელყოფენ უძველეს ტრადიციებს და გაურბიან რეგისტრირებული ქორწინებით ოჯახის შექმნის ვალდებულებას.

ჩვენი აზრით საჭიროა ნიშნობის ინსტიტუტს უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს, გვაქვს მოსაზრება, სამოქალაქო კოდექსში ნიშნობის სამართლებრივი ნორმის დამატებისა და გამტკიცების შესახებ, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული ცვლილებით წყვილი უფრო სერიოზულად დაფიქრდება ოჯახის შექმნისა და საქორწინო ურთიერთობებზე, რათა ნიშნობა არ არეგულირებდეს, მხოლოდ საჩუქრის უკან დაბრუნების საკითხს.

**საოჯახო ურთიერთობების გამყარებისა და შენარჩუნების მიზნით, ჩვენი აზრით მნიშვნელოვანი იქნება, დაქორწინებამდე ნიშნობის რიტუალი გახდეს სავალდებულო. წყვილის დანიშვნა მოხდეს ოფიციალურ ქორწინებამდე გარკვეული ვადით ადრე. მიგვაჩნია, რომ დასაოჯახებელ წყვილს მიეცემათ საშულება უკეთ გაიცნონ ერთმანეთი და დარწმუნდნენ მათი გადაწყვეტილების სისწორეში.**

## გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა


1. შოშიაშვილი ლ., ქორწინების ინსტიტუტი რომაულ და ძველ ქართულ სამართალში, გამომცემლობა, „მერიდიანი “, თბილისი, 2003 წ. გვ.15

2. ჭყონია ი., ქორწინები ინსტიტუტი მთიულეთში, საქ. სსრ მეცნიერებათა გამომცემლობა, თბილისი 1955წ. გვ 32-35

3. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2015წ. გვ. 63-65

4. ფუტკარაძე ი., ქორწინების წესები ქართული სამართლის მიხედვით, სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების ისტორიის ნარკვევები, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისის 2012 წ. გვ. 547

5. სულხან-საბა, ორბელიანი: ლექსიკონი ქართული. ტ. II, გვ. 379

6. შენგელია რ., შენგელია ე., საოჯახო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბილისი 2009წ. გვ.79-80

7. მეტრეველი ვ,. ქართული სამართლის ისტორი, გამომცემლობა მერიდიანი თბილისი2016 წ. გვ 353

8. ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე, გვ. 366.

9. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემია, „ქართული ჩვეულებითი სამართალი“, გამომცემლობა „მეცნიერება“ თბ. 1990 გვ.62-65

10. ქართული სამართლის ძეგლები, თბილისი 1963 წ. მუხლი 69-ე გვ. 499

11. მეტრეველი რ. სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია, გამომცემლობ ,, მერიდიანი''თბილისი 2003 წ. გვ.352

12. ნანობაშვილი ბ., საოჯახო ყოფა აღმოსავლეთ საქართველოში, გამომცემლობა თბილისი, 1988 წ. გვ.41

13. მაჩაბელი ნ,. ქორწინების ინსტიტუტი ქართლში,. გამომცემლობა მეცნიერება,. თბ.1978 გვ. 40-41

14. ბექაია მ., ოჯახის განვითარების სოციალური პრობლემები, თბილისი., 1980, გვ.31-32

15. ხარაბაძე რ,. დიდ ოჯახის გადმონაშთი სვანეთში. თბ., 1939. გვ.84-85

16. ივ.ჯავახიშვილი,. ქართველი ერის ისტორია, წიგნი II, გამომცემლობა საბჭოთა საქართველო, თბ.1965 გვ. 253-255

17. კაკაბაძე ნ,. ლაზური ტექსტები,. გამომცემლობა არტანუჯი, თბ.2017 გვ. 87

18. ცაიშვილი მ,. მეგრელების ჩვეულებანი. „ქორწილი“. გამომცემლობა ივერია,. თბილისი, 1894. გვ 34-36

19. მეფისაშვილი გ., ძველი და ახალი ტრადიციები,. გამომცემლობა მეცნიერება, თბ.1967. გვ33-35

20. მეტრეველი ვ,. რომის სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ.2013 გვ.102

21. ნადარეიშვილი გ., ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, გამომცემლობა მეცნიერება 1965 წ. გვ.122

22. ქორწინების სამართლებრივი საფუძვლები და მასთან დაკავშირებული პრობლემები. თბ.2002წ

23. ისტორიულ ეთნოგრაფიული ძიება, წიგნი I გამომცემლობა cuna georgica თბ.200წ გვ.98-100

24. წერეთელი მ,. „გენდერული კულტურა და სოციალური კონსტრუქტი“. სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, თბ.2006 გვ. 96-97

25. ქართული ჩვეულებითი სამართალი ტ. III  გამომცემლობა მეცნიერება, თბ.1991 გვ83 84

26. ჯალაბაძე დ,. საქორწინო საოჯახო სამართალი, ქართულიჩვეულებითი სამართლის მეცნიერება. თბ.1993. გვ. 135-136

27. ი.ცურტაველი, შუშანიკის წამება,. გამომცელობა ლითერასი,. თბ. 2014წ. გვ

28. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ. VII, გვ.266  1884წ,

29. წერეთელი მ., ქალი სამხრეთ კავკასიის კულტურაში: საქართველო. კულტურული და სოციალური კონსტრუქტი., გვ 124-125

30. ცაცანაშვილი მ., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია,. გამომცემლობა მერიდიანი თბ.2013 გვ 82-83

31. პერეტერსკი ი., სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორია,. 1947 წ,გვ 144-145.

32. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი წიგნი V საოხაჯო და მემკვიდრეობითი სამართალი.გამომცემლობა „სამართალი“. თბ 2000წ გვ.53-54

33. ჩიკვაშვილი შ., საოჯახო სამართალი, გამომცემლობა მერიდიანი, თბ 2004 წ. გვ.66-68

34. ვაჩეიშვილი ა., ნარკვევები ქართული სამ. ისტორიიდან ტ.II, თბ, 1948წ ,გვ- 50.

35. ჩიკვაიძე დ., საეკლესიო სამართალი, თბ, 2008წ, გვ-116.

36. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზ., ტ.VI, თბ, 1984. გვ-267.

37. რობერსი გ., სახელმწიფო და ეკლესია გერმანიაში, წიგნი: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. გ.რობერსის  რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბ 2011წ. გვ.106

38. ბასდევან გოდემე.,სახელმწიფო და ეკლესია საფრანგეთში,წიგნი: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. გ.რობერსის  რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბ 2011წ. გვ. 209

39. სამართლა ბატონიშვილის დავითისა, მუხლი 64, დ.ფურცელაძის გამოცემა., თბ.1964წ, გვ-41

40. პოზტი რ,. სახელმწიფო და ეკლესია ავსტრიაში., წიგნი: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. გ.რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბ 2011წ. გვ.453.

41 . რობერსი გ., სახელმწიფო და ეკლესია რუმინეთში, წიგნი: სახელმწიფო და ეკლესია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში. გ.რობერსის რედაქტორობით, მე-2 გამოცემის თარგმანი, თბ 2011წ. გვ. 465

42. ნაშრომი, ფანასკერტელ-ციციშვილი, დავით: ქცევანი და ჩვევანი საქართველოსანი. გვ.5 ინტერნეტ წყარი.

43. ლ. ჭიღლაშვილი, „ქორწინების ფორმები“ თბ. 2012. სამეცნიერო ჟურნალი, აკადემიური მაცნე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი N2, გვ 98-104

## ელექტრონული

44. საქართველოს ძეგლები „ნიშნობა და ქორწინება თუშეთში“. http://www.dzeglebi.ge/statiebi/etnografia/nishnoba_qorcineba_tushetshi.html {2019წ. 10 მაისი}.

45. ლ. ჭიღლაშვილი, „ქორწინების გარეშე დაბადებულ ბავშვთა სამართლებრივი უფლებები საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით“, დისერტაცია, თბ. 2016; გვ-19 http://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/188893/1/Disertacia.pdf {2019წ. 25მაისი}

46. „სამეგრელოს ტრადიციები და წეს-ჩვეულებები“. ინტერნეტწყარო http://saunje.ge/index.php?option=com_content&view=article&id=1598%3A-2&catid=1%3A2010-01-24-19-54-07&lang=ka&fbclid=IwAR1efR6AaujNKXumYruZ-G6LGC3X-XBKZm6kKEG-jOFSwkBvmFxC_7KTmqs {2019წ. 9 თებერვალი}

47. მარტვილის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შრომები, თბ. 2017 გვ 214 ინტერნეტწყარო http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/242696 { 2019წ. 19 თებერვალი}

48. გენდერული პრობლემატიკა საქართველოში. „ქალი, ოჯახი, ტრადიცია და კანონი საქართველოში“ http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-0l--10-ka-50---20-preferences---10-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&cl=CL2.5&d=HASH015a50d7a9e5d332d1510b97.17&gt=2 {2019წ. 5 მარტი}

49. ინტერნეტწყარო. ალექსანდრე მგელაძე,. აჭარის შესახე. http://www.biblioteka.litklubi.ge/view-nawarmoebi.php?id=3933 2019წ. 10 მარტი}

50. ნ.ლუხუტაშვილი, საქართველოში საქორწინო წეს-ჩვეულებების ეკონომიკური და სამართლებრივი ასპექტები. http://economicprofile.org/wp-content/uploads/10/10g10.pdf {2019წ. 3 აპრილი}

51. ჩიკვაიძე დ., ჯვრისწერის იურიდიული აღიარების პრობლემები

http://www.orthodoxy.ge/samartali/jvristsera.htm {2019წ. 12 აპრილი}

52. ი.საგანელიძე “მზითვის ტრადიცია საქართველოში“. https://www.kvirispalitra.ge/istoriani/42529-mzithvis-tradicia-saqarthveloshi.html?device=xhtml {2019წ. 17 აპრილი}

53. ს.მაკალათია „სამეგრელო“ “https://iberiana.wordpress.com/about/makalatia/ {2019წ 25 მაისი}

54. კობახიძე მ., „ეთნოსები საქართველოსი“. http://www.nplg.gov.ge/gsdl/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1----0-10-0---0---0prompt-10---4-------0-1l--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-10&a=d&c=civil2&cl=CL1.32&d=HASH01539272c0a61b8f8dfb8ff9.7 2019წ 8 მაისი}

## უცხოენოვანი ლიტერატურა

55. Чурсин Г.. свадебние обычаи и обряды на Кавказе. М., 1903. Ст. 36

56. Виников И.Н., арабы в СССР, ,,Советская этнография",IV, 1940 გვ17-18

57. Р.Д. Еристол.Заметки о Сванетии. Овычное право Сванеии вообще и в одной-в особенности. З.К.О.Р.Г.Общество,, 1892-97 XIX в.стр.29

58. А.А Пушкин, Деиствуюшее законода тельство о браке и семье , Харьков., 1992 с 141

59. Комментарий к семейному кодексу РФ. Под редакцией Крашенинникова П.В.и едугина П. А. М. 1997 С 41